ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტი

INSTITUTE FOR DEVELOPMENT OF FREEDOM OF INFORMATION

IDFI

პრემიებისა და დანამატების გაცემის პრაქტიკა 2014 წელს

(საქართველოს სამინისტროები, სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებები და სხვა საჯარო დაწესებულებები)

ივნისი, 2015

კვლევა განხორციელდა პროექტ "**საჯარო ინფორმაციის მონაცემთა ბაზა - www.opendata.ge**"-**ფარგლებში**

პროექტის ფინანსური მხარდამჭერია ფონდი ღია საზოგადოება საქართველო და ღია საზოგადოების ფონდები

OPEN SOCIETY GEORGIA FOUNDATION
ფონდი ღია საზოგადოება საქართველო

OPEN SOCIETY FOUNDATIONS

*ანგარიშში გამოთქმული მოსაზრებები ეკუთვნის ინფორმაციის თავისუფლების განვითარების ინსტიტუტს (IDFI) და არ გამოხატავს **ფონდ „ღია საზოგადოება-საქართველოს“** და **ღია საზოგადოების ფონდების** პოზიციას. შესაბამისად, აღნიშნული ორგანიზაციები არ არიან პასუხისმგებელი ანგარიშის შინაარსზე.*

შესავალი 3
საქართველოს სამინისტროები 9
სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებები 19
საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები 20
საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები 22
საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები 23
საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები 24
საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები 26
საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები 27
საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები 28
საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები 30
საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები 31
სხვა სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებები 32
საქართველოს მთავრობასთან ანგარიშვალდებული სხვა უწყებები 33
მარეგულირებელი კომისიები და სხვა დამოუკიდებელი დაწესებულებები 35
მარეგულირებელი კომისიები 36
ცენტრალური საარჩევნო კომისია 39
საქართველოს ეროვნული ბანკი 41
საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი 43
სახელმწიფო აუდიტის სამსახური 44
დასკვნა/რეკომენდაცია 45

შესავალი

საჯარო სამსახურის შესახებ საქართველოს კანონის მიხედვით მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და სახელფასო დანამატს. თანამდებობრივი სარგო საჯარო მოხელის კონკრეტულ სამუშაო პოზიციაზე გათვალისწინებული ფიქსირებული ანაზღაურებაა, ხოლო პრემია და სახელფასო დანამატი წარმოადგენს დამატებით ანაზღაურებას, რომლის გაცემის პერიოდულობა და ოდენობა კანონით განსაზღვრული არ არის.



აღნიშნულ კანონის მიხედვით, არ არის კონკრეტულად განმარტებული პრემიასა და სახელფასო დანამატს შორის არსებული განსხვავება, შესაბამისად, საჯარო დაწესებულებაში, ერთსა და იგივე ვითარებაში, შესაძლებელია საჯარო მოსამსახურეს ანაზღაურების ფორმად გამოეყოს როგორც პრემია, ასევე სახელფასო დანამატი.

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოს კანონმდებლობით არ არსებობს პრემიისა და სახელფასო დანამატის დეფინიციებს შორის განსხვავებები, უკანასკნელ წლებში, საჯარო მოხელეთა დამატებითი ანაზღაურების ფორმად დამკვიდრებული იყო პრემიის გაცემის პრაქტიკა. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ ხშირ შემთხვევაში, საჯარო დაწესებულებებში პრემია გაიცემოდა ყოველთვიურად და მისი გაცემა არანაირ ობიექტურ და გადამოწმებად კრიტერიუმებზე არ იყო დაფუძნებული.

საჯარო მოხელეებზე ყოველთვიურად პრემიით დაჯილდოების მანკიერი პრაქტიკის, აგრეთვე კონკრეტულ თანამდებობის პირებზე დაუსაბუთებლად მაღალი პრემიების გაცემის შემთხვევებზე არსებული საზოგადოებრივი უკმაყოფილების კვალდაკვალ, საქართველოს მთავრობის დღის წესრიგში დადგა პრემიების გაცემის სისტემის დარეგულირება-უნიფიცირება.

2014 წლის 15 ივლისს საქართველოს მთავრობამ გამოსცა დადგენილება, რომლის მიხედვითაც განისაზღვრა პრემიის გაცემაზე უფლებამოსილი პირები, გაჩნდა პრემიის გაცემის დასაბუთების აუცილებლობა, გარკვეული შეზღუდვები დაწესდა პრემიის გაცემის პერიოდულობასა და ოდენობაზე.

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილების მიხედვით პრემირების სისტემასთან დაკავშირებით დარეგულირებული საკითხები

- პრემია გაიცემა შესრულებული სამუშაოს შეფასების ან/და დასაბუთების საფუძველზე;
- განისაზღვრა პრემიის გაცემაზე უფლებამოსილი პირები, რომლის მიხედვითაც თანამდებობის პირებს შეეზღუდათ საკუთარ თავზე პრემიის გაცემის შესაძლებლობა;
- საჯარო მოხელეზე ერთჯერადად გაცემული პრემია არ უნდა აღემატებოდეს მის თანამდებობრივ სარგოს;
- პრემია შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ;
- პრემია შეიძლება გაიცეს ასევე წელიწადში სამჯერ უქმე დღეებთან დაკავშირებით;
- გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მოტივირებული შუამდგომლობით.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობის დადგენილებით გარკვეულწილად დარეგულირდა მხოლოდ მთავრობას დაქვემდებარებულ უწყებებში პრემირების სისტემა, **თუმცა აღნიშნულ დადგენილებაში არაფერი იქნა ნახსენები სახელფასო დანამატებზე, რომელიც საქართველოს კანონმდებლობით პრემიის მსგავსად საჯარო მოხელის დამატებითი ანაზღაურების ანალოგიურ საშუალებას წარმოადგენს**. შესაბამისად, ფიქსირებული თანამდებობრივი სარგოების და პრემიების გაცემაზე დაწესებული შეზღუდვების პირობებში კონკრეტული უწყებებისათვის არსებული შრომის ანაზღაურების ფონდის ათვისების ერთადერთ ალტერნატივას სახელფასო დანამატების დაწესება წარმოადგენდა.

საქართველოს მთავრობის მიერ პრემირების წესების შემოღების შემდგომ საჯარო დაწესებულებებში სახელფასო დანამატების გაცემის პრაქტიკის დანერგვაზე საუბარია აგრეთვე საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ სახელმწიფო აუდიტის მოხსენებაში. **სახელმწიფო აუდიტის სამსახური ცალსახად აღნიშნავს, რომ 2014 წლის ივლისის თვის შემდგომ ადგილი ჰქონდა პრემიის დანამატით ჩანაცვლებას. სამინიტროების მაგალითზე აღნიშნული ტენდენცია გამოისახა შემდეგნაირად**:

სამინისტროებში გაცემული პრემიისა და სახელფასო დანამატის საშუალო თვიური მაჩვენებლები 2014 წლის პირველ და მეორე ნახევარში				
სამინისტრო	2014 იანვარი-ივნისი		2014 ივლისი - ნოემბერი	
	საშუალო თვიური პრემია	საშუალო თვიური დანამატი	საშუალო თვიური პრემია	საშუალო თვიური დანამატი
ფინანსთა სამინისტრო	932 771	149 246	472 446	528 562
ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო	111 691	269 242	105 211	137 402
რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	214 743	66 713	93897	135724
იუსტიციის სამინისტრო	818707	2710	244795	729645
თავდაცვის სამინისტრო	151 496	5 449 234	80 619	5 781 186
შინაგან საქმეთა სამინისტრო	2 540 037	3 891 090	392154	6 143 607
განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	207847	4300	140744	20310
კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	124978	3310	103088	55741
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტრო	32965	45240	3306	49148
შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	320613	3965	471106	341717
ენერგეტიკის სამინისტრო	77096	2258	35030	75336
სოფლის მეურნეობის სამინისტრო	310692	2798	214824	125683
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის სამინისტრო	203015	34903	74106	177059
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	51908	2710	42873	2710
წყარო: საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახურის მოხსენება 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ				

საქართველოში არსებული სახელფასო პოლიტიკის ზოგადი შეფასებისთვის, მნიშვნელოვანია აგრეთვე მონაცემები, რომელიც უკანასკნელ წლებში სახელმწიფო ბიუჯეტიდან შრომის ანაზღაურებისათვის გაწეულ ხარჯებს ასახავს. როგორც ირკვევა, 2014 წელს შტატით გათვალისწინებულ თანამშრომელთა შრომის ანაზღაურების ყველაზე მაღალი ნიშნული ფიქსირდება 1 296 186 185 ლარი, რაც დაახლოებით 109 მილიონი ლარით აღემატება 2013 წლის შრომის ანაზღაურებაზე დახარჯულ თანხებს, ხოლო 247 მილიონი ლარით 2012 წლის მაჩვენებელს. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ 2014 წელს 2013 წელთან შედარებით გარკვეულწილად შემცირებულია როგორც გაცემული სარგოების ასევე პრემიების ოდენობა, შრომის ანაზღაურების საერთო ზრდა, განპირობებულია სახელფასო დანამატებისა და წოდებრივი სარგოების მნიშვნელოვანი მატებით. კერძოდ, **მიუხედავად იმისა, რომ 2013 წელთან შედარებით 2014 წელს გაცემულია დაახლოებით 20 მილიონი ლარით ნაკლები პრემია, მკვეთრად იმატა სახელფასო დანამატის გაცემის საერთო ოდენობამ და 2014 წელს აღნიშნული მუხლით საჯარო სამსახურში გაიცა დაახლოებით 57 მილიონი ლარით მეტი დანამატი ვიდრე 2013 წელს.**

ამავე დროს, უკანასკნელ წლებში შტატგარეშე თანამშრომლების შრომის ანაზღაურებაზე გაწეული ხარჯების ყველაზე მაღალი მაჩვენებელი 2014 წელს ფიქსირდება - 127 609 429 ლარი, რაც 2013 წელს შტატგარეშე თანამშრომლებზე გაცემულ ანაზღაურებაზე 37 მილიონი ლარით მეტია.





2014 წლის მიწურულს საქართველოში არსებული სავალუტო კრიზისის ფონზე, საქართველოს მთავრობამ გამოაცხადა ადმინისტრაციულ ხარჯებთან დაკავშირებით ქამრების შემოჭერის პოლიტიკის წარმოება. IDFI დაინტერესდა რამდენად აისახა 2015 წლის პირველ კვარტალში სამინისტროების თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურებაზე ე.წ. ქამრების შემოჭერის პოლიტიკა. იმ სამინისტროების მიხედვით, რომლებსაც საკუთარ ვებ-გვერდზე პროაქტიულად უზრუნველყოფილი აქვთ თანამდებობის პირთა შრომის ანაზღაურების შესახებ კვარტალური ინფორმაციის განთავსება, ირკვევა რომ ხშირ შემთხვევაში 2015 წლის პირველ კვარტალში თანამდებობის პირთა შრომის ანაზღაურება გაზრდილია 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით. მაგალითად, განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს თანამდებობის პირებზე გაცემული შრომის ანაზღაურება 2015 წლის პირველ კვარტალში 2014 წლის შესაბამის პერიოდთან შედარებით გაზრდილია 222 573 ლარით, ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა სამინისტროში - 129 203 ლარით, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროში - 33 478 ლარით, ხოლო სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროში - 30 358 ლარით.



საქართველოს სამინისტროებიდან, მათი დაქვემდებარებული უწყებებიდან და სხვა დამოუკიდებელი საჯარო დაწესებულებებიდან მიღებული ოფიციალური მონაცემების, აგრეთვე თანამდებობის პირთა ქონებრივი დეკლარაციების და საჯარო დაწესებულებების ვებ-გვერდზე პროაქტიულად განთავსებული ინფორმაციის საფუძველზე ჩვენს მიერ ქვემოთ წარმოდგენილი იქნება მონაცემები, თუ როგორ აისახა საქართველოს მთავრობის მიერ პრემიებზე დაწესებული რეგულაციები ხელმძღვანელი პირების 2014 წლის შრომის ანაზღაურების სახით მიღებულ შემოსავლებზე.

საქართველოს სამინისტროები

2015 წლის 10 მარტს IDFI-იმ საქართველოს ყველა სამინისტროს მიმართა 2014 წელს თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ინფორმაციის მოთხოვნით. აღნიშნულ მოთხოვნაზე **ინსტიტუტს პასუხი დღემდე არ მიუღია საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და საქართველოს იუსტიციის სამინისტროებიდან**. მიუხედავად იმისა, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ ინსტიტუტის მოთხოვნა უპასუხოდ დატოვა, 2014 წელს გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ დეტალური ინფორმაცია განათავსა საკუთარ ვებ-გვერდზე, შესაბამისად, იუსტიციის სამინისტროს ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია ჩვენს მიერ ქვემოთ წარმოდგენილი იქნება სამინისტროს ვებ-გვერდზე პროაქტიულად გამოქვეყნებული ოფიციალური მონაცემების მიხედვით.

საქართველოს ფინანსთა და საქართველოს შინაგან საქმეთა სამინისტროების შემთხვევაში, ინფორმაცია მოწოდებული იქნა არასრულყოფილი სახით ამ საჯარო დაწესებულებებში ადმინისტრაციული საჩივრის წარდგენის შემდგომ. კერძოდ, საქართველოს ფინანსთა სამინისტრომ წარმოადგინა ყველა თანამდებობის პირზე გაცემული პრემია და სახელფასო დანამატი ჯამურად და არა კონკრეტული თანამდებობის პირის მიხედვით. მიუხედავად აღნიშნულისა, მოწოდებული მონაცემები ნათლად აჩვენებს, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებისათვის 2014 წელს პრემიები ჩანაცვლებულია სახელფასო დანამატებით. **აღსანიშნავია, რომ საქართველოს ფინანსთა სამინისტროში 2014 წელს თანამდებობის პირებზე გაიცა დაახლოებით ორჯერ მეტი სახელფასო დანამატი ვიდრე პრემია**.

2014 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული პრემიების ოდენობა შეადგენს 568465 ლარს. 2014 წელს ფინანსთა სამინისტროს თანამდებობის პირებზე დარიცხული სახელფასო დანამატების ოდენობა შეადგენს 994515,72 ლარს.
ფინანსთა სამინისტროდან მიღებული არასრულყოფილი ინფორმაცია თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე) გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ.

შინაგან საქმეთა სამინისტროს შემთხვევაში მოწოდებული ინფორმაცია ერთმანეთისგან არ მიჯნავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და სახელფასო

დანამატს, შესაბამისად შეუძლებელია აღნიშნულ მონაცემებზე დაყრდნობით შსს-ში არსებული შრომის ანაზღაურების პოლიტიკის შესახებ რეალური სურათის დანახვა, თუმცა, აღნიშნულ უწყებაში დასაქმებული თანამდებობის პირების ქონებრივი დეკლარაციები საშუალებას მოგვცემს ქვემოთ წარმოვადგინოთ, თუ რამდენად შესაბამისობაშია მათი თანამდებობრივი სარგოები რეალურად მიღებულ შემოსავლებთან.

I, II, III და IV კვარტალი

სარგოები, დანამატები და პრემიების ჯამი	დარიცხვა
თანამდებობის პირებზე	42,480,107.83
სხვა თანამშრომლებზე	285,995,295.85
ჯამი:	328,475,403.68
შტატგარეშე ხელმეკრულება	11,727,950.10

სხვა სამინისტროებიდან სრულყოფილად მოწოდებული ინფორმაცია, ასევე ქონებრივ დეკლარაციებში და სამინისტროების ვებ-გვერდზე პროაქტიულად განთავსებული მონაცემები ნათლად აჩვენებს, რომ სამინისტროების თანამდებობის პირებს შორის ყველაზე მეტად დარეგულირებულია მინისტრის შრომის ანაზღაურება. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ პრემიების გაცემაზე დაწესებულ შეზღუდვებამდე საქართველოს პრემიერ მინისტრის ბრძანებით განისაზღვრა აგრეთვე მათი ყოველთვიური სახელფასო დანამატი 2710 ლარის ოდენობით. შესაბამისად, თითოეული მინისტრის ყოველთვიური შრომის ანაზღაურება შედგება თანამდებობრივი სარგო 3500 ლარი, სახელფასო დანამატი 2710 ლარი და არსებული შეზღუდვების პირობებში პრემიერ მინისტრის გაწყვეტილებით მათზე გაცემული პრემიებით. მინისტრის შრომის ანაზღაურების სამივე კომპონენტი (სარგო, პრემია, დანამატი) გარკვეულ ჩარჩოებშია მოქცეული და შესაბამისად, მინისტრების ანაზღაურება მნიშვნელოვნად არ განსხვავდება ერთმანეთისგან.

ერთადერთი მინისტრს, რომლის 2014 წელს მიღებული შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია ინსტიტუტისათვის ამ დრომდე უცნობია, წარმოადგენს საქართველოს ფინანსთა მინისტრი. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ სამინისტრომ

აღნიშნული ინფორმაციის გასაჯაროებისგან თავი შეიკავა, ხოლო აღნიშნული ინფორმაციის შემცველი ქონებრივი დეკლარაციის ხილვა საზოგადოებისათვის შესაძლებელი იქნება 2015 წლის ნოემბრის თვეში.

რაც შეეხება სხვა მინისტრებს, 2014 წელს შრომის ანაზღაურების სახით ყველაზე დიდი თანხა 103 184 ლარი (ხელზე 82 547 ლარი) გაცემულია საქართველოს თავდაცვის მინისტრზე. სხვა მინისტრების ანაზღაურებისგან თავდაცვის მინისტრის ანაზღაურების განსხვავება განპირობებულია იმ ფაქტით, რომ პრემიერ-მინისტრის ბრძანებით დადგენილი სახელფასო დანამატის (2 170 ლარი) გარდა თავდაცვის მინისტრი ყოველთვიურად იღებს საკლასო ჩინის დანამატს (1239 ლარი), სტაჟის დანამატს (885 ლარი) და საიდუმლოს დანამატს (531 ლარი).

2014 წელს პრემიის სახით ყველაზე დიდი თანხა 12 500 ლარი მიღებული აქვს იუსტიციის მინისტრს თეა წულუკიანს და საგარეო საქმეთა ყოფილ მინისტრს მაია ფანჯიკიძეს - 10 000 ლარი. 2014 წელს 6 250 ლარის ოდენობის პრემია მიღებული აქვთ აგრეთვე საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების და საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრებს. სხვა მინისტრების შემთხვევაში 2014 წლის შრომის ანაზღაურება შედგება მხოლოდ თანამდებობრივი სარგოსა და პრემიერ მინისტრის მიერ დაწესებული ყოველთვიური სახელფასო დანამატისგან.

მინისტრი	სახელი გვარი	თანამდებობრივი სარგო	პრემიერმინისტრის ბრძანებით განსაზღვრული სახელფასო დანამატი	პრემია ან სხვა დანამატი	სულ დარიცხული შრომის ანაზღაურება	ხელზე მიღებული შემოსავალი
თავდაცვის მინისტრი	მინდია ჯანელიძე	4 883	4 649	2 732	103 184	82 547
	ირაკლი ალასანია	35 577	27 236	28 107		
იუსტიციის მინისტრი	თეა წულუკიანი	42 480	32 520	12 500	87 500	70 000
საგარეო საქმეთა მინისტრი	მაია ფანჯიკიძე	35 754	27 371	10 000	83 750	67 000
	თამარ ბერუჩაშვილი	6 018	4 607	0		
შინაგან საქმეთა მინისტრი	ალექსანდრე ჭიკაიძე	42 480	32 520	6 569	81 569	65 255
ეკონომიკისა და მდგარდი განვითარების მინისტრი	გიორგი კვირიკაშვილი	42 480	32 520	6 250	81 250	65 000
განათლებისა და მეცნიერების მინისტრი	თამარ სანიკიძე	42 480	32 520	6 250	81 250	65 000
სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრი	ლევან ყიფიანი	42 480	32 520	0	75 000	60 000
შრომის ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრი	დავით სერგეენკო	42 480	32 520	0	75 000	60 000
ენერგეტიკის მინისტრი	კახა კალაძე	42 480	32 520	0	75 000	60 000
ოკუპირებული ტერიტორიებიდან იძულებით გადაადგილებულ პირთა, განსახლებისა და ლტოლვილთა მინისტრი	სოზარ სუბარი	19 085	14 610	0	75 000	60 000
	დავით დარახველიძე	23 395	17 910	0		
კულტურისა და ძეგლთა დაცვის მინისტრი	მიხეილ გიორგაძე	17 700	13 550	0	75 000	60 000
	მირიანე ოდიშარია	24 780	18 970	0		
გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრი	ელგუჯა ხოკრიშვილი	19085	14 610	0	75 000	60 000
	ხათუნა გოგალაძე	23 395	17 910	0		
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის მინისტრი	გიორგი მღებრიშვილი	18 931	14 493	0	74 729	59 783
	სოზარ სუბარი	23 395	17910	0		
სოფლის მეურნეობის მინისტრი	ოთარ დანელია	18 931	14 493	0	74 729	59 783
	შალვა ფიფია	23 395	17 910	0		
რეგიონული განვითარებისა ინფრასტრუქტურის მინისტრი	დავით შავლიაშვილი	18 931	14 493	0	74 729	59 783
	ელგუჯა ხოკრიშვილი	11 098	8496	0		
	დავით ნარმანია	12 297	9 414	0		

მინისტრის შრომის ანაზღაურებისგან განსხვავებული მდგომარეობაა სამინისტროს სხვა თანამდებობის პირების შემთხვევაში. სხვადასხვა სამინისტროში იგივე პოზიციაზე დასაქმებული თანამდებობის პირის შრომის ანაზღაურება მნიშვნელოვნად გასხვავდება ერთმანეთისგან.

მიუხედავად იმისა, რომ ყველა სამინისტროში მინისტრის მოადგილის თანამდებობრივი სარგო განსაზღვრულია ერთი და იგივე ოდენობით (პირველი მოადგილე- 2950 ლარი, მოადგილე 2720 ლარი), 2014 წელს მაგალითად, საქართველოს შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილის საშუალო ყოველთვიურმა შემოსავალმა შეადგინა 11 616 ლარი, ხოლო საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილეების - 4 512 ლარი.

საჯარო სამსახურში შრომის ანაზღაურებასთან დაკავშირებულ პრობლემებზე მოწმობს ის ფაქტიც, რომ 2014 წელს მთელ რიგ სამინისტროებში მინისტრზე მაღალი შემოსავლები აქვთ მიღებული მათ მოადგილეებს ან სხვა თანამდებობის პირებს. მაგალითად, ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის გიორგი კვირიკაშვილის შრომის ანაზღაურებამ 2014 წელს შეადგინა 81 250 ლარი, მაშინ როდესაც მისი მოადგილის ქეთევან ბოჭორიშვილის შრომის ანაზღაურებამ - 99 289 ლარი, ენერგეტიკის მინისტრის კახა კალაძის შრომის ანაზღაურებამ - 75 000 ლარი, ხოლო მისი მოადგილის მარიამ ვალიშვილის - 102 720 ლარი, იუსტიციის მინისტრის თეა წულუკიანის - 87 500 ლარი, ხოლო მისი მოადგილის ალექსანდრე ბარამიძის - 97 775 ლარი, შინაგან საქმეთა ყოფილი მინისტრის ალექსანდრე ჭიკაიძის 81 569 ლარი, ხოლო მისი მოადგილის დავით ხუციშვილის - 139 393 ლარი.

ქვემოთ წარმოდგენილია გრაფიკი, სადაც შედარებულია მინისტრის მოადგილეების საშუალო ყოველთვიური შრომის ანაზღაურება მინისტრის ანაზღაურებასთან. შინაგან საქმეთა მინისტრის მოადგილეების საშუალო ყოველთვიური შემოსავლის მაჩვენებელი წარმოდგენილია მხოლოდ ერთი მოადგილის, დავით ხუციშვილის 2014 წლის შრომის ანაზღაურების მიხედვით, რადგანაც სხვა მოადგილეების შემოსავლების შესახებ ინფორმაცია ინსტიტუტისათვის უცნობია.


მინისტრის მოადგილეების საშუალო ყოველთვიური შრომის ანაზღაურების შედარება მინისტრის ანაზღაურებასთან სამინისტროების მიხედვით
მინისტრის საშუალო ყოველთვიური შემოსავალი
მინისტრის მოადგილეების საშუალო ყოველთვიური შემოსავალი
ფინანსთა მინისტრი უცნობია
6797
11616
6250
8484
6771
7753
7292
7670
6651
8599
6438
6250
6353
6979
6240
6250
6230
6250
5980
6250
5663
6250
5399
6250
5243
6250
5020
6250
4755
6771
4512
შინაგან საქმეთა სამინისტრო
ენერგეტიკის სამინისტრო
ეკონომიკის სამინისტრო
იუსტიციის სამინისტრო
ფინანსთა სამინისტრო
თავდაცვის სამინისტრო
კულტურის სამინისტრო
საგარეო საქმეთა სამინისტრო
სასჯელაღსრულების სამინისტრო
ინფრასტრუქტურის სამინისტრო
ჯანდაცვის სამინისტრო
სპორტის სამინისტრო
გარემოს დაცვის სამინისტრო
სოფლის მეურნეობის სამინისტრო
ლტოლვილთა სამინისტრო
განათლების სამინისტრო

მინისტრის მოადგილე	სამინისტრო	სარგო	პრემია/ დანამატი	სულ დარიცხული შრომის ანაზღაურება	ხელზე მიღებული შემოსავალი
დავით ხუციშვილი	შინაგან საქმეთა სამინისტრო	32 640	106 753	**139 393**	111 514
მარიამ ვალიშვილი	ენერგეტიკის სამინისტრო	34 000	68 720	**102720**	82 176
ქეთევან ბოჭორიშვილი	ეკონომიკის და მდგრადი განვითარების სამინისტრო	32 640	66 649	**99 289**	79 431
ალექსანდრე ბარამიძე	იუსტიციის სამინისტრო	32 640	65135	**97775**	78220
ირაკლი გეგეჭკორი (10 თვე)	თავდაცვის სამინისტრო	29 500	56 694	**86 194**	68 955
არჩილ თალაკვაძე (11 თვე)	სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	29 920	51 880	**81 800**	65 440
ლაშა ხუციშვილი (11 თვე)	ფინანსთა სამინისტრო	29 920	46 636	**76 556**	61 245
მანანა ბერიკაშვილი	კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტრო	32 640	40 393	**73 033**	58 426
გიორგი ამაშუკელი	რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტრო	33 727	39 073	**72 800**	58 240
დავით ჯალაღანია	საგარეო საქმეთა სამინისტრო	32 640	39 280	**71 920**	57 536
დავით ლომიძე	შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტრო	32 655	35 015	**67 655**	54 124
აკაკი ლოდია	სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტრო	32 640	34 674	**67 314**	53 851
იური ნოზაძე	სოფლის მეურნეობის სამინისტრო	32 640	30 452	**63 092**	50 474
ქეთევან ნატრიაშვილი	განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო	35 400	22 067	**57 467**	45 974
მამუკა ცოტნიაშვილი	ლტოლვილთა სამინისტრო	32 640	21 130	**53 770**	43 016

როგორც გამოჩნდა, საქართველოს მთავრობის მიერ 2014 წლის ივლისის თვეში პრემიების გაცემაზე დაწესებული გარკვეული შეზღუდვების მიუხედავად, მინისტრის მოადგილეების შემოსავლები მნიშვნელოვნად აღემატება მათ თანამდებობრივ სარგოს. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ **საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული რეგულაციების შემდგომ ხშირ შემთხვევაში ადგილი ჰქონდა პრემიის დანამატით ჩანაცვლებას.**

საქართველოს ენერგეტიკის მინისტრის
2014 წლის 24 ივლისის
№ 80 ბრძანების
დანართი

საქართველოს ენერგეტიკის სამინისტროს საჯარო მოსამსახურეთა დანამატის ოდენობა

№	სახელი, გვარი	თანამდებობის დასახელება	დანამატი
1	მარიამ ვალიშვილი	მინისტრის მოადგილე	5500
2	ილია ელოშვილი	მინისტრის მოადგილე	5500
3	ირაკლი ხმალაძე	მინისტრის მოადგილე	5500

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა

KA030126954120614

№ 01-24/დ 06 / აგვისტო / 2014 წ.

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს მოხელეთათვის დანამატის გაცემის შესახებ

		დანართი #1
სახელი, გვარი	თანამდებობის დასახელება	დანამატი
ხელმძღვანელობა		
დიმიტრი მახათაძე	მინისტრის პირველი მოადგილე	2950
დავით ლომიძე	მინისტრის მოადგილე	2720
ზაზა სოფრომაძე	მინისტრის მოადგილე	2720
მარიამ ჯაში	მინისტრის მოადგილე	2720

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოს მთავრობის N449 დადგენილებით საჯარო მოხელეებზე პრემიების გაცემის თვალსაზრისით დაწესდა მხოლოდ მინიმალური შეზღუდვები, კონკრეტულ შემთხვევებში სხვადასხვა სამინისტროში სახეზე გვაქვს აღნიშნულ მოთხოვნებზე გამონაკლისების დაშვება. მაგალითად, 2014 წლის დეკემბერში საქართველოს იუსტიციის სამინისტროს ყველა თანამდებობის პირზე გაიცა პრემია თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ან სამმაგი ოდენობით. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ მთავრობის დადგენილებით ერთჯერადად გაცემული პრემიის ოდენობა არ უნდა აღემატებოდეს თანამდებობრივ სარგოს, თუმცა გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია ხელმძღვანელის მოტივირებული შუამდგომლობით ზემდგომი თანამდებობის პირის თანხმობის საფუძველზე. **სხვა სამინისტროების შემთხვევაში, რომელთა შესახებ დეტალური ინფორმაცია ინსტიტუტს გააჩნია, 2014 წლის დეკემბერში მსგავსი ოდენობის პრემიების გაცემის შემთხვევები არ დაფიქსირებულა (შეგახსენებთ, რომ ფინანსთა, ეკონომიკისა და შინაგან საქმეთა სამინისტროებმა აღნიშნული ინფორმაციის არ გაასაჯაროეს).**

2014 წლის დეკემბერში იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირების შრომის ანაზღაურება				
სახელი/გვარი	თანამდებობა	დეკემბერი		
		სარგო	დანამატი	პრემია
ალექსანდრე ბარამიძე	მინისტრის პირველი მოადგილე	2950	4000	10425
გოჩა ლორთქიფანიძე	მინისტრის მოადგილე	2720	4000	10080
ალექსანდრე ბურჭულაძე	მინისტრის მოადგილე	2720	4000	10080
ალექსანდრე ტაბატაძე	მინისტრის მოადგილე	2720	4000	10080
მიხეილ სარჯველაძე	მინისტრის მოადგილე	2720	4000	10080
ნათია ჩირიკაშვილი	დეპარტამენტის უფროსი	2170	2830	5000
მარიამ სხილაძე	დეპარტამენტის უფროსი	2170	1700	6510
ვასილ ჯანჯღავა	დეპარტამენტის უფროსი	2170	3000	7340
თეიმურაზ ანთელავა	დეპარტამენტის უფროსი	2170	1700	6510
ლევან მესხორაძე	დეპარტამენტის უფროსი	2170	1700	4340
მარიამ გოცირიძე	დეპარტამენტის უფროსი	2170	1700	6510
ირინე წაქაძე	დეპარტამენტის უფროსი	2170	1700	6510
რუსუდან მიხელიძე	დეპარტამენტის უფროსი	2170	1700	4340

საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, პრემია შეიძლება გაიცეს კვარტალში ერთხელ და უქმე დღეებთან (დღესასწაულებთან) დაკავშირებით წელიწადში მხოლოდ სამჯერ. **მიუხედავად აღნიშნული ჩანაწერისა საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროში 2014 წლის ივლისის თვის შემდგომაც (მთავრობის დადგენილება ძალაშია 01.07.2014-დან) თანამდებობის პირებზე ყოველთვიურად გაიცემა გარკვეული ოდენობის პრემია.** ამასთან, 2014 წლის დეკემბერში თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიები აღემატება მათ თანამდებობრივ სარგოებს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სხვა სამინისტროებისგან განსხვავებით სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროში თანამდებობის პირებზე არ გაცემულა სახელფასო დანამატი.

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა
მ ი ნ ი ს ტ რ ი

KA100156024377414

თბილისი **24 / დეკემბერი / 2014 წ.**

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა № 01/1199

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს
თანამშრომლებისათვის პრემიის გაცემის თაობაზე

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტისა, საქართველოს მთავრობის 2010 წლის 7 ივლისის N183 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დებულების მე-6 მუხლის მე-3 პუნქტის ზ) ქვეპუნქტის და საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილებით დამტკიცებული საჯარო დაწესებულებებში პრემიის ოდენობის განსაზღვრის წესის მე-5 მუხლის მე-4 პუნქტის თანახმად, ვბრძანებ:

1. საპასუხისმგებლო ფუნქციური დატვირთვის გათვალისწინებით და სამსახურებრივი მოვალეობის სანიმუშოდ შესრულებისათვის 2014 წლის დეკემბრის თვეში გაიცეს პრემია სამინისტროს თანამშრომლებზე თანდართული სიის შესაბამისად:

4. ამ მუხლის პირველი და მე-2 პუნქტებით დადგენილი წესიდან გამონაკლისის დაშვება შესაძლებელია საჯარო დაწესებულების ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მოტივირებული შუამდგომლობით, ზემდგომი თანამდებობის პირის, ხოლო ასეთის არარსებობის შემთხვევაში (საჯარო სამართლის იურიდიული პირების შემთხვევაში, სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელი ორგანოს არარსებობა), საქართველოს პრემიერ-მინისტრის თანხმობის საფუძველზე.
საქართველოს მთავრობის N449 დადგენილების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი

თანამდებობა	სახელი გვარი	ივნისი		ივლისი		აგვისტო		სექტემბერი		ოქტომბერი		ნოემბერი		დეკემბერი	
		დანამატი	**პრემია**	დანამატი	**პრემია**	დანამატი	**პრემია**	დანამატი	**პრემია**	დანამატი	**პრემია**	დანამატი	**პრემია**	დანამატი	**პრემია**
მინისტრი	ლევან ყიფიანი	2710		2710		2710		2710		2710		2710		2710	
მინისტრის პირველი მოადგილე	ზურაბ აზმაიფარაშვილი		1550		1550		1550		1000		1500		1800		4277.5
მინისტრის მოადგილე	რატი ბრეგაძე		2720		2720		2720		2720		2720		2720		3944
მინისტრის მოადგილე	თამაზ თევზაძე		2720		2720		2720		2720		2720		1500		3944
მინისტრის მოადგილე	აკაკი ლოდია		2720		2720		2720		2720		2720		2720		3944
აპარატის უფროსი	ირინე გულიაშვილი		1400		1400		1600		1900		1600		1700		3045
აპარატის უფროსის მოადგილე	ნინო თოფურია		600		600		500		900		700		700		2465
სამმართველოს უფროსი	ნატო უდესიანი		300		400		300		300		300		300		2175
სამმართველოს უფროსი	ეკა კვიტაშვილი		1250		1250		1400		1250		1250		1250		2175

როგორც ზემოთ გამოჩნდა, საქართველოს მთავრობის მიერ პრემიების გაცემასთან დაკავშირებით დაწესებულმა შეზღუდვებმა ვერ უზრუნველყო საჯარო მოხელეთა შრომის ანაზღაურების დარეგულირება და აღნიშნული რეგულაციები არ აისახა თანამდებობის პირების შემოსავლებზე.

სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებები

საჯარო სამართლის იურიდიული პირების შრომის ანაზღაურების ფონდი ფორმირდება, როგორც სახელმწიფო ბიუჯეტიდან, აგრეთვე საკუთარი საქმიანობიდან მიღებული შემოსავლებიდან. შესაბამისად აღნიშნული უწყებების საქმიანობით მიღებული სახსრები მნიშვნელოვან გავლენას ახდენს მათ სახელფასო პოლიტიკაზე.

სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურებებს შორის მნიშვნელოვანი განსხვავებები შეინიშნება, როგორც პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის თვალსაზრისით, აგრეთვე მათთვის განსაზღვრული ყოველთვიური თანამდებობრივი სარგოების მიხედვითაც.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტრო ერთ-ერთი გამორჩეული სამინისტროა მის დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების სიმრავლით. 2014 წელს აღნიშნული უწყებების ხელმძღვანელი პირების მიღებული შრომის ანაზღაურება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან. მაგალითად, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს მამუკა ახალაძეს 2014 წელს შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 121 043 ლარი, სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორს გურამ ჯალაღონიას - 95 410 ლარი, სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორს მიხეილ ხმალაძეს - 90 000 ლარი, სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს დირექტორის მოადგილეს ეკატერინე დანელიას - 75 455 ლარი, ხოლო სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის დირექტორს რევაზ ბაბილუას - 41 280 ლარი.

სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელი 2014 წელს იკავებდა, აგრეთვე ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრის მოადგილის თანამდებობას და მისი შრომის ანაზღაურება გაიცემოდა სამინისტროს მიერ, შესაბამისად აღნიშნული უწყების შემთხვევაში ჩვენს მიერ წარმოდგენილია ხელმძღვანელის მოადგილის შრომის ანაზღაურების შესახებ ინფორმაცია.

ზემოთ ჩამოთვლილი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელების შრომის ანაზღაურებაში არსებული განსხვავებები განპირობებულია არა მხოლოდ პრემიებისა და სახელფასო დანამატებს შორის არსებული სხვაობით, არამედ თანამდებობრივ სარგოებში მნიშვნელოვანი განსხვავებებითაც. მაგალითისთვის, საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს ხელმძღვანელის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო შეადგენს 6 875 ლარს, ხოლო სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის ხელმძღვანელის 3 440 ლარს. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ **ჩვენს მიერ ქვემოთ გამოტანილი სსიპ-ების ხელმძღვანელი პირების უმრავლესობას 2014 წელს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრზე მაღალი შრომის ანაზღაურება აქვთ მიღებული**.

ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელი პირების 2014 წლის შრომის ანაზღაურება						
დაწესებულება	ხელმძღვანელი	სარგო	პრემია	დანამატი	სულ	ხელზე მიღებული
საზღვაო ტრანსპორტის სააგენტო	მამუკა ახალაძე	82500	30293	8250	121043	96834
სამოქალაქო ავიაციის სააგენტო	გურამ ჯალაღონია	54000	28450	12960	95410	76328
სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტო	მიხეილ ხმალაძე	43200	32400	14400	90000	72000
სახელმწიფო ქონების ეროვნული სააგენტო	ეკატერინე დანელია	28800	16225	30430	75455	60364
სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახური	რევაზ ბაბილუა	41280	10820	2270	54370	43496

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისს N449 დადგენილების მიხედვით ხელმძღვანელ თანამდებობის პირებს შეეზღუდათ საკუთარ თავზე პრემიის გაცემის შესაძლებლობა. სსიპ-ების ხელმძღვანელი პირების შემთხვევაში პრემიის გაცემის უფლებამოსილება მიენიჭათ, მხოლოდ სახელმწიფო კონტროლის განმახორციელებელ ორგანოებს.

ვინაიდან, აღნიშნული დადგენილებით შეიზღუდა აგრეთვე პრემიის ოდენობა და პერიოდულობა 2014 წლის სექტემბრიდან სამინისტროს დაქვემდებარებაში მყოფი სსიპ-ების ხელმძღვანელებს მინისტრის ბრძანებით 2014 წლის განმავლობაში დაუწესდათ თანამდებობრივი სარგოს სხვადასხვა პროცენტული ოდენობის სახელფასო დანამატი.

საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებისათვის დანამატის დაწესების შესახებ

„საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების დამტკიცების შესახებ" საქართველოს მთავრობის 2004 წლის 10 სექტემბრის №77 დადგენილებით დამტკიცებული საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს დებულების მე-8 მუხლის მე-3 პუნქტის „ა" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების სამინისტროს სისტემაში შემავალი საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელებს განსაკუთრებული სირთულის და მნიშვნელობის დავალების შესრულებისათვის 2014 წლის სექტემბრის თვიდან 2014 წლის განმავლობაში დაუწესდეთ ყოველთვიური დანამატი დანართის შესაბამისად.

2. ამ ბრძანების დანართით განსაზღვრულ პირებზე თანხა ანაზღაურებულ იქნეს შესაბამისი უწყებების მიერ, მათთვის გათვალისწინებული ასიგნებების ფარგლებში, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

მინისტრის მოვალეობის შემსრულებელი — დიმიტრი ქუმსიშვილი

სსიპ - ციფრული მაუწყებლობის სააგენტოს თავმჯდომარე **ნინო ქუტინიძე**	თანამდებობრივი სარგოს 100%
სსიპ - საქართველოს ინოვაციების და ტექნოლოგიების სააგენტოს თავმჯდომარე **ირაკლი ქაშიბაძე**	თანამდებობრივი სარგოს 100 %
სსიპ - საქართველოს სტანდარტებისა და მეტროლოგიის ეროვნული სააგენტოს გენერალური დირექტორი **დავით ტყემალაძე**	თანამდებობრივი სარგოს 97%
სსიპ - აკრედიტაციის ერთიანი ეროვნული ორგანო - აკრედიტაციის ცენტრის გენერალური დირექტორი **პაატა გოგოლიძე**	თანამდებობრივი სარგოს 22%
სსიპ - საქართველოს სახელმწიფო ჰიდროგრაფიული სამსახურის დირექტორი **რევაზ ბაბილუა**	თანამდებობრივი სარგოს 22%
სსიპ - საზღვაო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი **მამუკა ახალაძე**	თანამდებობრივი სარგოს 30%
სსიპ - სახმელეთო ტრანსპორტის სააგენტოს დირექტორი **მიხეილ ხმალაძე**	თანამდებობრივი სარგოს 100%
სსიპ - სამოქალაქო ავიაციის სააგენტოს დირექტორი **გურამ ჯალაღონია**	თანამდებობრივი სარგოს 72%
სსიპ - ტექნიკური და სამშენებლო ზედამხედველობის სააგენტოს უფროსი **გრიგოლ კაკაურიძე**	თანამდებობრივი სარგოს 50%
სსიპ - მეწარმეობის განვითარების სააგენტოს დირექტორი **გიორგი ციკოლია**	თანამდებობრივი სარგოს 70%

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები

საქართველოს იუსტიციის სამინისტროს მსგავსად მისმა დაქვემდებარებულმა უწყებებმა, რომლებსაც IDFI-იმ საჯარო ინფორმაციის მოთხოვნით მიმართა, ინსტიტუტის ყველა მოთხოვნა მათ შორის 2014 წელს გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ უპასუხოდ დატოვა. თუმცა აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს იუსტიციის სამინისტრომ საკუთარ ვებ-გვერდზე განათავსა საჯარო სამართლის იურიდიული პირების ხელმძღვანელი პირების 2014 წლის შრომის ანაზღაურების შესახებ დეტალური ინფორმაცია.

როგორც ირკვევა, 2014 წელს იუსტიციის სამინისტროს სსიპ-ების ხელმძღვანელებს შორის ყველაზე მაღალი შრომის ანაზღაურება მიღებული აქვს სსიპ სმართ ლოჯიქის ხელმძღვანელს მალხაზ სხირტლაძეს - 104 824 ლარი. აღნიშნული თანხიდან თანამდებობრივი სარგო შეადგენს 66 574 ლარს, პრემია 23 500 ლარს, ხოლო სახელფასო დანამატი 14 750 ლარს. 2014 წლის ივლისის შემდგომ მალხაზ სხირტლაძისთვის ყოველთვიური პრემია ჩანაცვლებულია სახელფასო დანამატით.

იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული სხვა უწყებების ხელმძღვანელი პირების შემთხვევაში 2014 წლის ივლისის შემდგომ პრემიის სახელფასო დანამატით ჩანაცვლების შემთხვევებს ადგილი არ ჰქონია. მაგალითად, მონაცემთა გაცვლის სააგენტოს ხელმძღვანელის ირაკლი გვენეტაძის 2014 წლის შრომის ანაზღაურებამ 2014 წელს შეადგინა 92 800 ლარი, საიდანაც პრემია შეადგენს 23 200 ლარს, ხოლო სახელფასო დანამატი მას საერთოდ არ მიუღია.

2014 წელს იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელ პირებს შორის ყველაზე დაბალი შრომის ანაზღაურება მიღებული აქვს ეროვნული არქივის დირექტორს თეონა იაშვილს - 46 400 ლარი. მას პრემიის სახით მიღებული აქვს მხოლოდ 3200 ლარი, ხოლო დანამატი სახით - 4800 ლარი.

იუსტიციის სამინისტროს თანამდებობის პირების მსგავსად, საქართველოს იუსტიციის მინისტრის მოტივირებული შუამდგომლობით 2014 წლის დეკემბერში სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელ პირებზე დაშვებულია გამონაკლისი და პრემიის სახით გაცემულია თანამდებობრივ სარგოზე მაღალი ოდენობის თანხები.

იუსტიციის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელი პირების 2014 წლის შრომის ანაზღაურება						
დაწესებულება	ხელმძღვანელი	სარგო	პრემია	დანამატი	სულ	ხელზე მიღებული
სმართ ლოჯიქი	მალხაზ სხირტლაძე	66574	23500	14750	104824	83859
მონაცემთა გაცვლის სააგენტო	ირაკლი გვენეტაძე	69600	23200	0	92800	74240
სახელმწიფო სერვისების განვითარების სააგენტო	ლევან სამადაშვილი (3 თვე)	16875	0	0	89163	71330
	იოსებ ბაღათურია (6 თვე)	34363	8925	0		
	შიო ხეცურიანი (3 თვე)	20300	8700	0		
აღსრულების ეროვნული ბიურო	ვლადიმერ გურგენიძე (9 თვე)	49128	3125		81253	65002
	იოსებ ბაღათურია (3 თვე)	20300	8700	0		
საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტო	პაპუნა უგრეხელიძე	56400	14100	0	70500	56400
დანაშაულის პრევენციის ცენტრი	ჯონი კვინიკაძე	45350	7600	0	52950	42360
საკანონმდებლო მაცნე	გიორგი პატარიძე	42000	10500	0	52500	42000
ეროვნული არქივი	თეონა იაშვილი	38400	3200	4800	46400	37120

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელი პირებს შორის გამორჩეულია შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მაია მიმინოშვილის შრომის ანაზღაურება - 109 967 ლარი. მიუხედავად იმ ფაქტისა რომ, შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო (4 500) მნიშვნელოვნად აღემატება სხვა უწყებების ხელმძღვანელებისას, 2014 წელს ასევე სერიოზულად განსხვავდება შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის და სხვა უწყებების ხელმძღვანელების მიერ მიღებული პრემიისა თუ სახელფასო დანამატის ოდენობები.

განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელი პირების 2014 წლის შრომის ანაზღაურება						
დაწესებულება	ხელმძღვანელი	სარგო	პრემია	დანამატი	სულ	ხელზე მიღებული
შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრი	მაია მიმინოშვილი	54000	31500	24467	109967	87974
განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი	ელენე ჯიბლაძე	35400	7375	360	43135	34508
საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო	გიგა უმეკაშვილი	13508	1180	0	42205	33764
	გრიგოლ გაგოშიძე	21892	5625	0		
მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრი	გიორგი მაჩაბელი	13423	2950	0	41300	33040
	გია მამულაშვილი	21977	2950	0		

1

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული რეგულაციების ფონზე, **2014 წლის ივლისის თვის შემდგომ შეფასებისა და გამოცდების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის მიერ პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით მიღებული შემოსავლები გაორმაგდა.** 2014 წლის იანვარი-ივნისი პერიოდში მაია მიმინოშვილს პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით მიღებული აქვს 18 000 ლარი, ხოლო ივლისი-დეკემბერში 37 967 ლარი. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ივლისამდე ხელმძღვანელზე გაიცემოდა მხოლოდ პრემია, ხოლო ივლისის შემდგომ, როგორც პრემია, ასევე სოლიდური ოდენობის სახელფასო დანამატი. მაგალითად, 2014 წლის დეკემბერში მაია მიმინოშვილმა მიიღო თანამდებობრივი სარგოს ოდენობის პრემია (4 500 ლარი) და თანამდებობრივი სარგოს დაახლოებით ორმაგი ოდენობის (8 750 ლარი) სახელფასო დანამატი.

საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები

2014 წლის ივლისის თვეში საქართველოს მთავრობის მიერ პრემიების გაცემაზე შეზღუდვების დაწესების ერთ-ერთ მთავარ განმაპირობებელ ფაქტორს, სწორედ სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს საქვეუწყებო დაწესებულება -

[1] 2015 წლის 30 ივნისს უზუსტობის გამო კვლევაში შევიდა ცვლილება. კერძოდ, 2014 წელს სსიპ საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტოს დირექტორის მოვალეობას ასრულებდა როგორც გრიგოლ გაგოშიძე, ასევე გიგა უმეკაშვილი. კვლევის თავდაპირველ ვერსიაში 2014 წლის განმავლობაში აღნიშნულ თანამდებობაზე გაცემული მთლიანი სარგოს მიმღებად მითითებული იყო მხოლოდ გრიგოლ გაგოშიძე. შესაბამისად, წლიური თანამდებობრივი სარგო გადანაწილდა გიგა უმეკაშვილზე და გრიგოლ გაგოშიძეზე თანამდებობაზე ყოფნის პერიოდების მიხედვით, ხოლო სულ ხელმძღვანელის მიერ მიღებულ შემოსავლებს დაემატა გიგა უმეკაშილის მიერ საანგარიშო პერიოდში მიღებული პრემია.

სასჯელაღსრულების დეპარტამენტში 2013 წლის დეკემბერში გაცემული მაღალი ოდენობის პრემიებზე გამოწვეული საზოგადოების მწვავე რეაქცია წარმოადგენდა. იმის გათვალისწინებით, რომ საჯარო ინფორმაციის ხელმისაწვდომობის თვალსაზრისით სასჯელაღსრულების დეპარტამენტი ერთ-ერთ ყველაზე დახურულ უწყებას წარმოადგენს, რეალური სურათის დანახვა აღნიშნულ უწყებაში 2014 წელს არსებული სახელფასო პოლიტიკის შესახებ ინსტიტუტისათვის შეუძლებელია. თუმცა, როგორც სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის გოგი გახარიას ქონებრივი დეკლარაციიდან ირკვევა, მას 2014 წელს შრომის ანაზღაურების სახით მიღებული აქვს 101 892 ლარი. **აღნიშნული თანხა მნიშვნელოვნად აღემატება 2014 წელს მისთვის გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოების ოდენობას, რაც ადასტურებს, რომ აღნიშნულ უწყების ხელმძღვანელ პირებზე 2014 წელს კვლავ აქტიურად გაიცემა პრემიები ან/და სახელფასო დანამატები.**

საქართველოში ან სხვა ქვეყანაში, თქვენი, თქვენი ოჯახის წევრის მიერ შესრულებული ნებისმიერი ანაზღაურებადი სამუშაო, სამეწარმეო საქმიანობაში მონაწილეობის გარდა			
სამუშაოს შემსრულებელი პირის ვინაობა (სახელი, გვარი)	**სამსახური, რომელშიც პირს უკავია თანამდებობა ან ასრულებს სამუშაოს, ასევე რომელშიც წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით უკავია თანამდებობა ან ასრულებდა სამუშაოს**	**თანამდებობის დასახელება ან სამუშაოს შინაარსი**	**სამუშაოს შესრულებით წინა წლის პირველი იანვრიდან 31 დეკემბრის ჩათვლით მიღებული შემოსავალი**
გოგი გახარია	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	თავმჯდომარის მოადგილე	46697.00 GEL
გოგი გახარია	საქართველოს სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტრო	საქვეუწყებო დაწესებულების სასჯელაღსრულების დეპარტამენტის თავმჯდომარის მ/მ	55195.00 GEL

რაც შეეხება სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს სხვა დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელი პირების 2014 წლის შრომის ანაზღაურებას, როგორც ირკვევა პრობაციის ეროვნულ სააგენტოს ხელმძღვანელს გიორგი არსოშვილს მიღებული აქვს 66 625 ლარი, საიდანაც პრემია შეადგენს 25 325 ლარს ხოლო სახელფასო დანამატი 7 700 ლარს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრის დირექტორს ზოია ხასიას შრომის ანაზღაურებამ 2014 წელს შეადგინა 38 270 ლარი, საიდანა პრემია შეადგენს 4 530 ლარს, ხოლო დანამატი 1 620 ლარს.

სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელი პირების 2014 წლის შრომის ანაზღაურება						
დაწესებულება	ხელმძღვანელი	სარგო	პრემია	დანამატი	სულ	ხელზე მიღებული
პრობაციის ეროვნული სააგენტო	გიორგი არსოშვილი	33600	25325	7700	66625	53300
სასჯელაღსრულებისა და პრობაციის სასწავლო ცენტრი	ზოია ხასია	32120	4530	1620	38270	34508

საქართველოს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები

ფინანსთა სამინისტროს მსგავსად, მის დაქვემდებარებულ უწყებათა უმრავლესობამ თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ დეტალური ინფორმაციის მოწოდებისგან თავი შეიკავა. აღნიშნული სამინისტროს დაქვემდებარებულ დაწესებულებებს შორის ერთადერთ დაწესებულებას წარმოადგენს ფინანსთა სამინისტროს აკადემია, რომელმაც ინსტიტუტის მოთხოვნა სრულყოფილად დააკმაყოფილა.

2014 წელს აკადემიის დირექტორის თამარ ჯაფარიძის შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 64 800 ლარი. მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ ივლისის თვის შემდგომ საქართველოს მთავრობის მიერ დაწესდა შეზღუდვები პრემიის გაცემის პერიოდულობაზე, ფინანსთა მინისტრის ბრძანებების საფუძველზე აკადემიის დირექტორზე 2014 წელს ყოველთვიურად გაიცემოდა თანამდებობრივი სარგოს ოდენობის პრემია. 2014 წლის ივლისის შემდგომ მინისტრის ყველა ბრძანებაში პრემიის გაცემის საფუძვლად მითითებულია მთავრობის დადგენილების მე-5 მუხლის მე-4 პუნქტი, რაც ითვალისწინებს ხელმძღვანელი პირის მოტივირებული შუამდგომლობით გამონაკლისის დაშვებას არსებულ შეზღუდვებზე.

IDFI-ის 2015 წლის 11 მარტის #OPD03/15-053 წერილის <u>პირველი პუნქტის</u> თანახმად 2014 წლის განმავლობაში თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიის ოდენობა თვეების მიხედვით

პრემიის ოდენობა

#	თანამდებობის პირები	თამარ ჯაფარიძე აკადემიის დირექტორი	გიორგი რაზმაძე აკადემიის დირექტორის მოადგილე
1	იანვარი	2700	0
2	თებერვალი	2700	1100
3	მარტი	2700	880
4	აპრილი	2700	0
5	მაისი	2700	1150
6	ივნისი	2700	0
7	ივლისი	2700	1150
8	აგვისტო	2700	2300
9	სექტემბერი	2700	0
10	ოქტომბერი	2700	0
11	ნოემბერი	2700	1380
12	დეკემბერი	2700	2300
	ჯამი	**32400**	**10260**

ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებული სხვა უწყებების შემთხვევაში, როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოწოდებულია მხოლოდ თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ ჯამური მონაცემები. აღნიშნული

მონაცემები აჩვენებს, რომ 2014 წელს თანამდებობის პირებზე გაიცემოდა, როგორც პრემიები, ასევე სახელფასო დანამატები.

2014 წელს ფინანსთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიები და სახელფასო დანამატები		
დაწესებულება	**პრემია**	**დანამატი**
შემოსავლების სამსახური	313 980	99 670
სახაზინო სამსახური	24 050	96 360
მომსახურების სააგენტო	103 300	29 000
საფინანსო ანალიტიკური სამსახური	120 488	35 016

საქართველოს რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები

რეგიონული განვითარებისა და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელებს შორის 2014 წელს ყველაზე მაღალი შრომის ანაზღაურება (88 005 ლარი) გაცემულია საავტომობილო გზების დეპარტამენტის შემთხვევაში. საწყისი 6 თვის განმავლობაში, აღნიშნული უწყების ხელმძღვანელის თანამდებობა ეკავა დავით შავლიაშვილს, რომლის თანამდებობრივმა სარგომ შეადგინა 21 240 ლარი, ხოლო პრემიამ 24 150 ლარი. **2014 წლის ივლისში პრემიების გაცემაზე დაწესებული შეზღუდვების შემდგომ საავტომობილო გზების დეპარტამენტის ახალ თავმჯდომარეზე საკუთარი ბრძანების საფუძველზე ყოველთვიურად გაიცემოდა 2700 ლარის ოდენობის სახელფასო დანამატი.**

ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრის ხელმძღვანელის შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 68 675 ლარი, ხოლო ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმების ცენტრის ხელმძღვანელის 41 905 ლარი. აღნიშნულ პირებზე დამატებითი შრომის ანაზღაურება 2014 წელს დაწესებული რეგულაციების გათვალისწინებით გაიცემოდა მხოლოდ პრემიის სახით.

რეგიონული განვითარების და ინფრასტრუქტურის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელი პირების 2014 წლის შრომის ანაზღაურება						
დაწესებულება	ხელმძღვანელი	სარგო	პრემია	დანამატი	სულ	ხელზე მიღებული
საავტომობილო გზების დეპარტამენტი	დავით შავლიაშვილი (6 თვე)	21240	24150	0	88005	70404
	ვაჟა ფანჩულიძე (6 თვე)	21240	5175	16200		
ევრაზიის სატრანსპორტო დერეფნის საინვესტიციო ცენტრი	გიორგი ცაგარელი	49200	19475	0	68675	54 940
ეფექტიანი მმართველობის სისტემის და ტერიტორიული მოწყობის რეფორმების ცენტრი	გიორგი ტოკლიკიშვილი	34800	7105	0	41905	33524

საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელებს შორის 2014 წელს ყველაზე მაღალი შრომის ანაზღაურება (65 100 ლარი) გაცემულია სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელზე. სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტოს ხელმძღვანელის გია თვალავაძეს შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 58 300 ლარი, ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდის ხელმძღვანელის მარინა მესხის - 46 640 ლარი, ხოლო დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის ამირან გამყრელიძის - 36 900 ლარი.

შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელი პირების 2014 წლის შრომის ანაზღაურება						
დაწესებულება	ხელმძღვანელი	სარგო	პრემია	დანამატი	სულ	ხელზე მიღებული
სოციალური მომსახურების სააგენტო	ნოე ქინქლაძე (5 თვე)	13000	13100	0	65100	52 080
	გაიოზ თალაკვაძე (7 თვე)	18200	10400	10400		
სამედიცინო საქმიანობის სახელმწიფო რეგულირების სააგენტო	გია თვალავაძე	31200	15100	12000	58300	46640
ადამიანით ვაჭრობის (ტრეფიკინგის) მსხვერპლთა, დაზარალებულთა დაცვისა და დახმარების სახელმწიფო ფონდი	მარინა მესხი	31200	10900	5200	47300	37840
დაავადებათა კონტროლისა და საზოგადოებრივი ჯანმრთელობის ეროვნული ცენტრი	ამირან გამყრელიძე	31200	5700	0	36900	29520

2014 წლის იანვარი-მაისის პერიოდში სოციალური მომსახურების სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობას იკავებდა ნოე ქინქლაძე, რომელსაც აღნიშნულ პერიოდში მიღებული აქვს დაახლოებით თანამდებობრივი სარგოს ოდენობის

პრემია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ საქართველოს მთავრობის მიერ დაწესებული რეგულაციების ფონზე, 2014 წლის ივლისის თვის შემდგომ სოციალური მომსახურების სააგენტოს ახალ ხელმძღვანელს გაიოზ თალაკვაძეს პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით მიღებული აქვს თანამდებობრივ სარგოზე მაღალი შემოსავალი. აღნიშნული განპირობებული იმ ფაქტით, რომ აღნიშნულ უწყებაში საქართველოს მთავრობის დადგენილების გამოცემის შემდგომ პრემიებთან ერთად გაიცემოდა აგრეთვე სახელფასო დანამატები.

მიუხედავად არსებული შეზღუდვებისა, 2014 წლის სექტემბრის თვეში გაიოზ თალაკვაძეს საკუთარი ბრძანებების საფუძველზე მიღებული აქვს თანამდებობრივი სარგოს ორმაგი ოდენობის (5200 ლარი) პრემია. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სექტემბრის თვეში გაიოზ თალაკვაძის ხელმოწერით გამოცემულია პრემირების შესახებ ორი ბრძანება. ორივე მათგანი 1 სექტემბრით თარიღდება. აღნიშნული გარემოება, ცალსახად წარმოადგენს საქართველოს მთავრობის დადგენილებით დაწესებული რეგულაციების უგულველბელყოფას, რომელიც უკავშირდება პრემიის გაცემის უფლებამოსილ პირს, პრემიის გაცემის პერიოდულობასა და ოდენობას.

ამასთან, აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ როგორც პრემირების და სახელფასო დანამატების გაცემის შესახებ ბრძანებებიდან ირკვევა 2014 წელს სოციალური მომსახურების სააგენტოში პრემიები და სახელფასო დანამატები გაიცემოდა როგორც შრომის ანაზღაურების აგრეთვე, საქონელი და მომსახურების მუხლიდან.

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბრძანება

KA030452905350614

№ 04-49/დ 01 / სექტემბერი / 2014 წ.

სააგენტოში დასაქმებულთათვის პრემიის გაცემის შესახებ

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების" მე-4 მუხლის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის დამტკიცებული ადმინისტრაციული ხარჯების შრომის ანაზღაურების მუხლიდან გაიცეს პრემია 81 387 (ოთხმოცდაერთიათას სამასოთხმოცდაშვიდი) ლარის ოდენობით, დანართი 1-ით განსაზღვრულ დასაქმებულებზე.

2. „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის დამტკიცებული საქონელი და მომსახურების მუხლიდან გაიცეს პრემია 850 (რვაასორმოცდაათი) ლარის ოდენობით, დანართი 2-ით განსაზღვრულ დასაქმებულებზე.

3. „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის" პროგრამის საქონელი და მომსახურების მუხლიდან გაიცეს პრემია 11 838 (თერთმეტიათასრვაასოცდათვრამეტი) ლარის ოდენობით, დანართი 3-ით განსაზღვრულ დასაქმებულებზე.

4. დაცვალეს ეკონომიკურ დეპარტამენტს (დ. ჯანხოთელი) წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ დასაქმებულთა პრემიით უზრუნველყოფა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

5. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

დირექტორის მოვალეობის შემსრულებელი გაიოზ თალაკვაძე



საჯარო სამართლის იურიდიული პირი
სოციალური მომსახურების სააგენტო

ბრძანება

KA030406749646814

№ 04-46/დ 01 / სექტემბერი / 2014 წ.

სააგენტოში დასაქმებულთათვის პრემიის გაცემის შესახებ

„საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონის 23-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს შრომის, ჯანმრთელობისა და სოციალური დაცვის მინისტრის 2007 წლის 27 ივნისის N190/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – სოციალური მომსახურების სააგენტოს დებულების" მე-4 მუხლის „ი" ქვეპუნქტის შესაბამისად,

ვბრძანებ:

1. „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი - სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის დამტკიცებული ადმინისტრაციული ხარჯების შრომის ანაზღაურების მუხლიდან გაიცეს პრემია 164 400 (ასსამოცდოთხიათასოთხასი) ლარის ოდენობით, დანართი 1-ით განსაზღვრულ დასაქმებულებზე.

2. „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით, საჯარო სამართლის იურიდიული პირი – სოციალური მომსახურების სააგენტოსათვის დამტკიცებული საქონელი და მომსახურების მუხლიდან გაიცეს პრემია 17 600 (ჩვიდმეტიათასექვსასი) ლარის ოდენობით, დანართი 2-ით განსაზღვრულ დასაქმებულებზე.

3. „საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული „მოსახლეობის საყოველთაო ჯანმრთელობის დაცვის" პროგრამის საქონელი და მომსახურების მუხლიდან გაიცეს პრემია 81 000 (ოთხმოცდაერთიათასი) ლარის ოდენობით, დანართი 3-ით განსაზღვრულ დასაქმებულებზე.

4. "საქართველოს 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესახებ" საქართველოს კანონით გათვალისწინებული „სოციალური დახმარებების" პროგრამის საქონელი და მომსახურების მუხლიდან გაიცეს პრემია 8 400 (რვაათასოთხასი) ლარის ოდენობით, დანართი 4-ით გათვალისწინებული დასაქმებულებისათვის.

5. დაცვალოს ეკონომიკურ დეპარტამენტს (დ. ჯანხოთელი) წინამდებარე ბრძანებით განსაზღვრულ დასაქმებულთა პრემიით უზრუნველყოფა, კანონმდებლობით დადგენილი წესით.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერის დღიდან.

საქართველოს სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული დაწესებულების სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობაზე 2014 წლის შრომის ანაზღაურებამ სულ შეადგინა 65 490 ლარი. აღნიშნულ თანამდებობას დეკემბრის თვემდე იკავებდა ზურაბ ჩეკურაშვილი, რომელსაც პრემიის სახით მიღებული აქვს 22 125 ლარი, ხოლო სახელფასო დანამატის - 2950 ლარი. დეკემბრის თვეში სურსათის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელის თანამდებობა დაიკავა ზაზა დოლიძემ, რომელზეც სოფლის მეურნეობის მინისტრის თანხმობის საფუძველზე, **თანამდებობაზე დანიშვნიდან პირველივე თვეს გაიცა 2 950 ლარის პრემია და 2 065 ლარის ოდენობის სახელფასო დანამატი.**

სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორიის ხელმძღვანელის ლალი მაძღარაშვილის 2014 წლის შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 42 900 ლარი, საიდანაც პრემიის სახით მიღებული აქვს 11 700 ლარი, ხოლო სახელფასო დანამატი მასზე არ გაცემულა.

სოფლის მეურნეობის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელი პირების 2014 წლის შრომის ანაზღაურება						
დაწესებულება	ხელმძღვანელი	სარგო	პრემია	დანამატი	სულ	ხელზე მიღებული
სურსათის ეროვნული სააგენტო	ზურაბ ჩეკურაშვილი (11 თვე	32450	22125	2950	65 490	52392
	ზაზა დოლიძე (1 თვე)	2950	2950	2065		
სოფლის მეურნეობის სამინისტროს ლაბორატორია	ლალი მაძღარაშვილი	31200	11700	0	42900	34320

საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებები სამინისტროს მსგავსად წარმოადგენს ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლის უწყებებს, სადაც 2014 წლის ივლისში პრემიებზე დაწესებული შეზღუდვების ფონზე, ხელმძღვანელი პირებისათვის პრემიები არ ჩანაცვლებულა სახელფასო დანამატებით. შესაბამისად, მათი შრომის ანაზღაურება მნიშვნელოვნად ჩამორჩება სხვა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელების ანაზღაურებას. ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის 2014 წლის შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 48 300 ლარი, ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდის ხელმძღვანელის ირაკლი ჟორჟოლიანის 39 275 ლარი, ხოლო ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის შალვა გოგოლაძის - 36 400 ლარი.

სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებული უწყებების ხელმძღვანელი პირების 2014 წლის შრომის ანაზღაურება						
დაწესებულება	ხელმძღვანელი	სარგო	პრემია	დანამატი	სულ	ხელზე მიღებული
ბავშვთა და ახალგაზრდობის ეროვნული ცენტრი	წუგზარ კევლიშვილი	31200	17100	0	48300	38640
ბავშვთა და ახალგაზრდობის განვითარების ფონდი	ირაკლი ჟორჟოლიანი	31500	7775	0	39275	31420
ოლიმპიური რეზერვების მზადების ეროვნული ცენტრი	გოგოლაძე შალვა	25200	9100	2100	36400	29120

სხვა სამინისტროებს დაქვემდებარებული უწყებები

2014 წლის ივლისის თვის შემდგომ ზემოთ წარმოდგენილი უწყებების მსგავსად სხვა სამინისტროებს დაქვემდებარებულ დაწესებულებებშიც ხელმძღვანელი პირების შრომის ანაზღაურების თვალსაზრისით მსგავსი ტენდენციები შეინიშნება. მაგალითად, **კულტურისა და ძეგლთა დაცვის სამინისტროს დაქვემდებარებული უწყების** კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს ხელმძღვანელს ნიკოლოზ ანთიძის 2014 წელს (მარტი-დეკემბერი) სამუშაოს შესრულებით მიღებულმა შემოსავალმა შეადგინა 52 150 ლარი (სარგო 29 500, პრემია 15 050, დანამატი 7 600 ლარი). აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2014 წლის ივლისამდე ანთიძე თანამდებობრივ სარგოსთან ერთად ყოველთვიურად იღებდა 1900 ლარის ოდენობის პრემიას. დაწესებული რეგულაციების ფონზე 2014 წლის სექტემბრიდან მას დაუწესდა 1900 ლარის ოდენობის სახელფასო დანამატი. აღნიშნულ დანამატთან ერთად, რეგულაციების შემდგომ, მასზე სამი თვის განმავლობაში გაცემულია აგრეთვე დაახლოებით თანამდებობრივი სარგოს ოდენობის პრემია. **შესაბამისად შეიძლება ითქვას, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის სააგენტოს ხელმძღვანელის საშუალო ყოველთვიური ანაზღაურება ივლისის თვის შემდგომ გაიზარდა.**

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო ხელმძღვანელის ნიკოლოზ ანთიძის მიერ 2014 წელს მიღებული პრემიები და დანამატები										
	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
პრემია	**1900**	**1900**	**1900**	**1900**		**2200**		**2300**		**2950**
დანამატი							**1900**	**1900**	**1900**	**1900**

საქართველო შინაგან საქმეთა სამინისტროს დაქვემდებარებულმა უწყებებმა, სამინისტროს მსგავსად, 2014 წელს გაცემული პრემიებისა და სახელფასო დანამატების შესახებ დეტალური ინფორმაციის გასაჯაროებისგან თავი შეიკავეს. შესაბამისად, აღნიშნულ უწყებებში არსებული სახელფასო პოლიტიკაზე დასკვნების გამოტანა შეუძლებელია. თუმცა **მონაცემების გასაიდუმლოება გვაფიქრებინებს , რომ სამინისტროს მსგავსად აღნიშნული უწყებების ხელმძღვანელი პირების შემთხვევაშიც, აქტიურად გაიცემოდა პრემიები თუ სახელფასო დანამატები.**

საქართველოს მთავრობასთან ანგარიშვალდებული სხვა უწყებები

საქართველოს მთავრობის 2014 წლის 15 ივლისის N449 დადგენილების მიხედვით საქართველოს მთავრობის წინაშე ანგარიშვალდებული დაწესებულებების ხელმძღვანელ პირებზე, რომლებსაც არ ჰყავთ ზემდგომი თანამდებობის პირი, პრემიის გაცემის გადაწყვეტილებას იღებს საქართველოს პრემიერ-მინისტრი. როგორც ქვემოთ წარმოდგენილი მონაცემები აჩვენებს, საქართველოს მთავრობის დადგენილებით პრემიების გაცემაზე დაწესებულ შეზღუდვებს, ამგვარ დაწესებულებების ხელმძღვანელი პირების შემოსავლებზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია. აღნიშნულ დაწესებულებებს შორის, რომელთა შესახებ ინფორმაციაც ხელმისაწვდომია ინსტიტუტისათვის, 2014 წელს პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით ყველაზე მაღალი შემოსავალი მიღებული აქვს სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს ხელმძღვანელს გიორგი თვაურს - 58 950 ლარი (პრემია 31 000, დანამატი 27 950). დაზვერვის სამსახურს ხელმძღვანელის დავით სუჯაშვილის სახელფასო დანამატმა 2014 წელს შეადგინა 51 840 ლარი, პრემია მას არ მიუღია. აღსანიშნავია აგრეთვე ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ყოფილი ხელმძღვანელი ირაკლი ღვალაძის შრომის ანაზღაურება, რომელსაც 7 თვის განმავლობაში პრემიის სახით მიღებული აქვს 40 590 ლარი.

ყველაზე დაბალი შემოსავალი პრემიისა თუ სახელფასო დანამატის სახით აღნიშნული სახის დაწესებულებების ხელმძღვანელებს შორის მიღებული აქვს იურიდიული დახმარების სამსახურის ხელმძღვანელს მელიტონ ბენიძეს - 6 322 ლარი.

საქართველოს მთავრობასთან ანგარიშვალდებული სხვა უწყებების ხელმძღვანელი პირების 2014 წლის შრომის ანაზღაურება						
დაწესებულება	ხელმძღვანელი	სარგო	პრემია	დანამატი	სულ	ხელზე მიღებული
ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრი	ირაკლი ღვალაძე (7 თვე)	34 650	40 590	0	109 395	87 516
	ნიკოლოზ გოგილიძე (5 თვე)	24 750	9 405	0		
სახელმწიფო შესყიდვების სააგენტო	ლევან რაზმაძე	60 000	42 500		102 500	82 000
სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიურო	გიორგი თვაური	35 400	31 000	27 950	94 350	75 480
დაზვერვის სამსახური	დავით სუჯაშვილი	42 480	0	51 840	94 320	75 456
სტატისტიკის ეროვნული სამსახური	მერი დაუშვილი	31 123	17 650	14 750	63 523	50 818
საჯარო სამსახურის ბიურო	ეკატერინე ქარდავა	35 400	2950	8260	46 610	37 288
იურიდიული დახმარების სამსახური	მელიტონ ბენიძე	25704	6322	0	32 026	25 621

2014 წლის ივლისამდე ინტელექტუალური საკუთრების ეროვნული ცენტრის ხელმძღვანელის თანამდებობას იკავებდა ირაკლი ღვალაძე, რომელსაც აღნიშნულ პერიოდამდე პრემიის სახით მიღებული აქვს 40 590 ლარი. განსაკუთრებით აღსანიშნავია მარტის და აპრილის თვეები, როდესაც ხელმძღვანელზე გაცემულმა პრემიამ თითოეულ თვეზე 9 900 ლარი შეადგინა. ცენტრის ახალი ხელმძღვანელის ნიკოლოზ გოგილიძის მიერ მიღებულმა პრემიამ 2014 წელს შეადგინა სულ 9 405 ლარი. **აღნიშნული თანხა პრემიერ მინისტრის თანხმობით გაცემულია სამი თვის განმავლობაში და თითოეულ თვეზე გაცემული პრემია არ აღემატებოდა თანამდებობრივი სარგოს 70%-ს.**

№	თვე	გოგილიძე ნიკოლოზი	ღვალაძე ირაკლი
1	იანვარი		4950
2	თებერვალი		3960
3	მარტი		9900
4	აპრილი		9900
5	მაისი		6930
6	ივნისი		4950
7	ივლისი		
8	აგვისტო		
9	სექტემბერი		
10	ოქტომბერი	2475	
11	ნოემბერი	3465	
12	დეკემბერი	3465	


საქართველოს პრემიერ-მინისტრი

ბატონ ნიკოლოზ გოგილიძეს

თანახმა ვარ

ირაკლი ღარიბაშვილი

№42787
.12.2014წ.

სხვა დაწესებულებებიდან უმრავლეს შემთხვევაში 2014 წლის განმავლობაში დამატებითი ანაზღაურების ფორმად დადგენილების მიღებამდეც გამოიყენებოდა სახელფასო დანამატები, შესაბამისად, პრემიებზე დაწესებულ შეზღუდვებს აღნიშნულ უწყებებში დასაქმებულების შემოსავლებზე გავლენა არ მოუხდენია. მაგალითად, დაზვერვის სამსახურის უფროსის ყოველთვიური სახელფასო დანამატი 2014 წლის განმავლობაში შეადგენდა 4 320 ლარს და მასზე პრემია არ გაიცემოდა. სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს შემთხვევაშიც თანამდებობის პირებზე პრემია გაცემულია მხოლოდ 2014 წლის დეკემბერში, ხოლო სხვა თვეებში დამატებითი ანაზღაურების ფორმად გამოიყენებოდა სახელფასო დანამატი, შესაბამისად პრემიებზე დაწესებულ შეზღუდვებს რაიმე გავლენა აღნიშნული უწყების სახელფასო პოლიტიკაზე არ მოუხდენია.

რაც შეეხება იმგვარ უწყებებს, სადაც 2014 წლის ივლისამდე სახეზე გვქონდა ყოველთვიური პრემიებით წახალისების პრაქტიკა, პრემია ჩანაცვლდა სახელფასო დანამატით და ხელმძღვანელი პირების შემოსავლების თვალსაზრისით მდგომარეობა არ შეცვლილა. მაგალითად, ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროში 2014 წლის ივლისამდე ხელმძღვანელ პირებზე ყოველთვიურად გაიცემოდა 5 000 ლარის ოდენობის პრემია. აღნიშნული შეზღუდვების დაწესების შემდგომ ხელმძღვანელი პირები პრემიის ნაცვლად იღებდნენ იგივე ოდენობის სახელფასო დანამატს.

ხელმძღვანელზე, მის მოადგილეებზე და თანამშრომლებზე ცალ-ცალკე დარიცხული პრემიების და დანამატების ოდენობის შესახებ ინფორმაცია 2014 წლის იანვრიდან 2014 წლის დეკემბრის ჩათვლით

თანამშრომლების	თვეები	გიორგი თევური		ვახტანგ კარგარეთელი		გიორგი მურვანიძე		თანამშრომლები	
		პრემია	დანამატი	პრემია	დანამატი	პრემია	დანამატი	პრემია	დანამატი
იანვარი	იანვარი	5,000.00		5,000.00				178,760.00	
თებერვალი	თებერვალი	5,000.00		5,000.00				204,655.00	
მარტი	მარტი	5,000.00		5,000.00		5,000.00		239,845.00	
აპრილი	აპრილი	5,000.00		5,000.00		5,000.00		512,900.00	
მაისი	მაისი	6,000.00		5,000.00		5,000.00		212,035.00	
ივნისი	ივნისი	5,000.00		5,000.00		5,000.00		235,060.00	
ივლისი	ივლისი		5,000.00		5,000.00		5,000.00		238,000.00
აგვისტო	აგვისტო		5,000.00		5,000.00		5,000.00		228,975.00
სექტემბერი	სექტემბერი		5,000.00		5,000.00		5,000.00		236,665.00
ოქტომბერი	ოქტომბერი		5,000.00		5,000.00		5,000.00		300,145.00
ნოემბერი	ნოემბერი		5,000.00		5,000.00		5,000.00		258,055.00
დეკემბერი	დეკემბერი		2,950.00		5,250.00		5,100.00		562,150.00
სულ	სულ	31,000.00	27,950.00	30,000.00	30,250.00	20,000.00	30,100.00	1,583,255.00	1,823,990.00

მარეგულირებელი კომისიები და სხვა დამოუკიდებელი დაწესებულებები

მარეგულირებელი კომისიებისა და სხვა დამოუკიდებელი დაწესებულებების კატეგორიაში ჩვენს მიერ გაერთიანებულია ისეთი დაწესებულებები, რომლებსაც საკუთარი საქმიანობის სპეციფიკიდან გამომდინარე პირდაპირი ზემდგომი მაკონტროლებელი ორგანო არ ჰყავთ. შესაბამისად, აღნიშნულ უწყებებს სრული დამოუკიდებლობა გააჩნიათ სახელფასო პოლიტიკის წარმოებისას.

მარეგულირებელი კომისიები

წლების განმავლობაში საქართველოს საჯარო სექტორში ყველაზე მაღალანაზღაურებად დაწესებულებებს საქართველოს მარეგულირებელი კომისიები წარმოადგენდნენ. 2014 წელსაც კომისიების წევრებზე გაცემული შრომის ანაზღაურება გამორჩეულია სხვა საჯარო დაწესებულებებში არსებულ სახელფასო პოლიტიკასთან შედარებით, თუმცა განვლილ წლებთან შედარებით, აღნიშნულ უწყებებში პრემიების გაცემის თვალსაზრისით გარკვეული ცვლილებები შეინიშნება.

საქართველოს კომუნიკაციების ეროვნული კომისიის შემთხვევაში 2014 წლის 18 ივლისს შემოღებული იქნა კომისიაში დასაქმებულთა პრემირების ახალი წესი, რომლის მიხედვითაც, დასაქმებულის კვარტალური პრემიის განსაზღვრა ხორციელდება შრომის კრიტერიუმებზე დაწესებული კოეფიციენტების მიხედვით:

ა) *შრომის დისციპლინა - 10*
ბ) შესრულებული სამუშაოს ხარისხი/სანდოობა/ვადები - 15
გ) შესრულებული სპეციალური სამსახურებრივი დავალებები - 10
დ) საქმის მოცულობა და სამსახურებრივი დაკავებულობა - 15

აღნიშნულ კოეფიციენტებზე დაყრდნობით, კომისიის მიერ დადგენილი ფორმულის საშუალებით გამოიანგარიშება კვარტალური პრემიის ოდენობა.

> 8. კვარტალური პრემიის გამოთვლა სტრუქტურულ ერთეულებში დასაქმებულთათვის უნდა განხორციელდეს ამ გადაწყვეტილების მე-6 პუნქტით დადგენილი თითოეული კრიტერიუმის შესაბამისად, ამავე ინსტრუქციის მე-7 პუნქტით განსაზღვრული კოეფიციენტების ფარგლებში მიღებული ქულების ჯამის თანაფარდობით ქულების მაქსიმალურ რაოდენობასთან (50 ქულა), გამოხატული პროცენტებში; მაგალითად, თუ დასაქმებულმა პირველი კრიტერიუმით მოიპოვა - 5, მეორეთი - 12, მესამეთი - 6, მეოთხეთი – 10,7, მაშინ კვარტალური პრემია უდრის: (5+12+6+10,7)/50*100%=33,7/50*100%=67,4%≈67% ყოველთვიური სახელფასო სარგოსი (შენიშვნა: მიღებული პროცენტული მაჩვენებელი მრგვალდება ერთეულის სიზუსტით).

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში პრემიების გაცემის დარეგულირების თავლსაზრისით გარკვეული ღონისძიებები განხორციელდა, ამ სიახლეს კომისიის წევრების 2014 წლის შემოსავლებზე მნიშვნელოვანი გავლენა არ მოუხდენია.

2014 წლის მაისიდან კომუნიკაციების ეროვნული კომისიის თავმჯდომარედ არჩეული იქნა ვახტანგ აბაშიძე. 8 თვის განმავლობაში ვახტანგ აბაშიძის შრომის ანაზღაურება შეადგენს 183 884 ლარს (ხელზე 147 107 ლარი), საიდანაც პრემია შეადგენს 51 590 ლარს, ხოლო თანამდებობრივი სარგო 132 293 ლარს.

2014 წელს კომუნიკაციების ეროვნულ კომისიის წევრებს შორის ყველაზე მაღალი შრომის ანაზღაურება მიღებული აქვს კომისიის ყოფილ წევრს აკაკი სიხარულიძეს- 297 099 ლარი, საიდანაც პრემია შეადგენ 103 307 ლარს. კომისიის ასევე ყოფილ წევრებს სოფიო ბრიტანჩუკს და ირაკლი მოსეშვილს 2014 წელს პრემიის სახით თითოეულს მიღებული აქვს 105 141 ლარი.

რაც შეეხება კომუნიკაციების ეროვნული კომისიის მოქმედი წევრის კახა ბექაურის 2014 წლის შრომის ანაზღაურებას, აღნიშნული შეადგენს 252 843 ლარს, საიდანაც პრემიის სახით მიღებულია 73 125 ლარი. კახა ბექაურმა კომისიის წევრის თანამდებობა დაიკავა 2014 წლის იანვრის მიწურულს, შესაბამისად მას აღნიშნული თვის სარგო და პრემია არ მიუღია.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის წევრების 2014 წლის შრომის ანაზღაურება				
კომისიის წევრი	სარგო	პრემია	სულ	ხელზე მიღებული
ვახტანგ აბაშიძე (8 თვე)	132 293	51 590	183 884	147 107
აკაკი სიხარულიძე	193 792	103 307	297 099	237 679
სოფიო ბრიტანჩუკი	190 104	105 141	295 245	236 196
ირაკლი მოსეშვილი	178 633	105 141	283 774	227 019
კახა ბექაური (11 თვე)	179 718	73 125	252 843	202 274

კომუნიკაციების ეროვნულ კომისიაში პრემიების გაცემის თვალსაზრისით გამორჩეულია 2014 წლის აპრილი, როდესაც კომისიის თავმჯდომარის მოვალეობის შემსრულებელის აკაკი სიხარულიძის ბრძანებით კომისიის წევრებზე და აპარატის თანამშრომლებზე პრემია გაიცა ორჯერ 3 და 16 აპრილს.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის თანამშრომლებზე 2014 წელს სულ გაცემულია 1 828 511 ლარის ოდენობის პრემია, საიდანაც აპრილის თვის პრემია შეადგენს 528 925 ლარს.

კომუნიკაციების ეროვნული კომისიის აპარატის თანამშრომლებზე გაცემული პრემიები	
იანვარი	173771
თებერვალი	56720
მარტი	44123
აპრილი	528925
მაისი	268500
ივნისი	0
ივლისი	269628
აგვისტო	0
სექტემბერი	15318
ოქტომბერი	215354
ნოემბერი	26519
დეკემბერი	229653
სულ	**1 828 511**

2014 წელს კომისიის წევრების შრომის ანაზღაურების მოცულობასთან დაკავშირებით მნიშვნელოვანი ცვლილებებია საქართველოს ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელ ეროვნულ კომისიაში. 2014 წელს კომისიის თავმჯდომარეს პრემიის სახით სულ მიღებული აქვს 15 750 ლარი.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი კომისიის სხვა წევრების შემთხვევაშიც, გაცემული პრემიების ოდენობა განვლილ წლებთან შედარებით მნიშვნელოვნად შემცირებულია, რაც აისახა მათ წლიურ შრომის ანაზღაურებაზე.

ენერგეტიკისა და წყალმომარაგების მარეგულირებელი ეროვნული კომისიის წევრების 2014 წლის შრომის ანაზღაურება				
კომისიის წევრი	**სარგო**	**პრემია**	**სულ**	**ხელზე მიღებული**
შოწია გოჩა	142800	33500	176300	141040
მესხი სერგო	142800	27550	170350	136280
წადირაძე მაია	142800	25058	167858	134286

მაგალითად, კომისიის ერთ-ერთი წევრის სერგო მესხის 2013 წლის შრომის ანაზღაურებას თუ შევადარებთ 2014 წლის შრომის ანაზღაურებას, ვნახავთ, რომ აღნიშნული ციფრი 2014 წელს დაახლოებით 115 000 ლარით შემცირდა.



ცენტრალური საარჩევნო კომისია

საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისია ერთ-ერთი გამორჩეული საჯარო დაწესებულებაა, სადაც აქტიურად ხდება თანამშრომელთა, როგორც პრემიებით, ისე სახელფასო დანამატებით დაჯილდოება. **2014 წელს კომისიის თავმჯდომარეს თამარ ჟვანიას** პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით მიღებული აქვს **77 492** ლარი, **საიდანაც პრემია შეადგენს 34 272 ლარს, ხოლო სახელფასო დანამატი 43 220 ლარს.** ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნებთან დაკავშირებით მაისის და ივნისის თვეში თამარ ჟვანიას სახელფასო დანამატმა შეადგინა თითოეულ თვეში 10 080 ლარი, ხოლო ივლისის თვეში 15 120 ლარი.

კომისიის თავმჯდომარის მოადგილეს გიორგი შარაბიძეს 2014 წელს პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით მიღებული აქვს **67 311** ლარი, ხოლო კომისიის მდივანს გიზო მჭედლიძეს **64 576** ლარი.

აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ მიღებული პრემიებისა და სახელფასო დანამატების გარდა, თავმჯდომარის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო შეადგენს - 4 800 ლარს, თავმჯდომარის მოადგილის 4 030 ლარს, ხოლო კომისიის მდივნის - 4 030 ლარს. ამასთან, საქართველოს კანონმდებლობით საარჩევნო პერიოდში ცესკო-ში დასაქმებულ თანამშრომლებზე თანამდებობრივი სარგო გაიცემა ორმაგი ოდენობით.

ყოველივე ზემოთქმულის გათვალისწინებით, 2014 წელს, მაგალითად, კომისიის თავმჯდომარის მოადგილის გიორგი შარაბიძის შრომის ანაზღაურებამ შეადგინა - 132 955 ლარი (სარგო - 65 644 ლარი, პრემია და დანამატი - 67 311 ლარი), ხოლო

კომისიის მდივნის გიზო მჭედლიძის - 128 736 ლარი (სარგო - 64 160, პრემია და დანამატი 64 576 ლარი).

2014 წელს ცესკო-ს თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიები და სახელფასო დანამატები						
თვე	თამარ ჟვანია (თავმჯდომარე)		შარაბიძე გიორგი (მოადგილე)		გიზო მჭედლიძე (კომისიის მდივანი)	
	პრემია	დანამატი	პრემია	დანამატი	პრემია	დანამატი
იანვარი	4032	0	3392	0	3360	
თებერვალი	5040	0	4240	0	4200	
მარტი	0	0	0	0		
აპრილი	5040	5305	4240	4463	4200	4421
მაისი	0	10080	0	8480		8400
ივნისი	0	10080	0	8480		8400
ივლისი	0	15120	0	12720		12600
აგვისტო	5040	0	4240	0	4200	
სექტემბერი	5040	115	4240	96	4200	95
ოქტომბერი		2520	0	2120		2100
ნოემბერი	5040	0	4240	0	4200	
დეკემბერი	5040	0	4240	2120	4200	
სულ	34272	43220	28832	38479	28560	36016
	77492		67311		64576	



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარე

გრძანება №05-29

ქ. თბილისი

26 აგვისტო 2014 წელი

ცესკოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნის, წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისათვის პრემიის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტების, 30-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" 37-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. მარიამობის დღესასწაულთან დაკავშირებით, გაიცეს პრემია ცესკოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნის, წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისათვის, ასევე ცესკოს შტატგარეშე მოსამსახურეებისათვის, დანართი 1-ისა და დანართი 2-ის შესაბამისად.



საქართველოს საარჩევნო ადმინისტრაცია
საქართველოს ცენტრალური საარჩევნო კომისიის
თავმჯდომარე

გრძანება №05-36

ქ. თბილისი

21 ნოემბერი 2014 წელი

ცესკოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნის, წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისათვის პრემიის გაცემის შესახებ

საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს საარჩევნო კოდექსი" მე-15 მუხლის მე-2 პუნქტის „ა" და „გ" ქვეპუნქტების, 30-ე მუხლის მე-5 პუნქტისა და საქართველოს კანონის „საჯარო სამსახურის შესახებ" 37-ე მუხლის პირველი პუნქტის საფუძველზე,

ვბრძანებ:

1. გიორგობის დღესასწაულთან დაკავშირებით, გაიცეს პრემია ცესკოს თავმჯდომარის, თავმჯდომარის მოადგილის, მდივნის, წევრებისა და აპარატის თანამშრომლებისათვის, ასევე ცესკოს შტატგარეშე მოსამსახურეებისათვის, დანართი 1-ისა და დანართი 2-ის შესაბამისად.

პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის თვალსაზრისით აგრეთვე გამორჩეულია სსიპ-საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრი. აღნიშნული სსიპ-ის დირექტორს ნათია ზაალიშვილს 2014 წელს პრემიისა და სახელფასო დანამატის სახით სულ მიღებული აქვს 49 121 ლარი, ხოლო მის მოადგილეს ნინო ბერულავას - 43 940 ლარი. ცესკო-ს მსგავსად, აღნიშნულ უწყებაშიც ყველაზე მაღალი დამატებითი ანაზღაურება სახელფასო დანამატის სახით გაცემულია ადგილობრივი თვითმმართველობის არჩევნების პერიოდში.

2014 წელს ნათია ზაალიშვილის შრომის ანაზღაურებამ სულ შეადგინა 94 834 ლარი (სარგო - 45 713, პრემია და დანამატი- 49 121 ლარი), ხოლო ნინო ბერულავას - 83 690 ლარი (სარგო- 39 750, პრემია და დანამატი-43 940).

2014 წელს საარჩევნო სისტემების განვითარების, რეფორმებისა და სწავლების ცენტრის თანამდებობის პირებზე გაცემული პრემიები და სახელფასო დანამატები				
თვე	ნათია ზაალიშვილი (დირექტორი)		ნინო ბერულავა (მოადგილე)	
	პრემია	დანამატი	პრემია	დანამატი
იანვარი	0	0	0	0
თებერვალი	2990	0	2600	0
მარტი	0	1495	0	1300
აპრილი	2990	2990	2600	2600
მაისი	0	5980	0	5200
ივნისი	0	8970	0	7800
ივლისი	0	7261	0	7800
აგვისტო	0	5980	0	5200
სექტემბერი	1495	0	1300	0
ოქტომბერი	0	0	0	0
ნოემბერი	0	2990	0	2340
დეკემბერი	5980	0	5200	0
სულ	13455	35666	11700	32240
	49121		43940	

საქართველოს ეროვნული ბანკი

მიუხედავად იმ ფაქტისა, რომ საქართველოს ეროვნული ბანკის პრეზიდენტს 2014 წელს პრემია და სახელფასო დანამატი არ მიუღია, მისმა შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 228 000 ლარი. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ეროვნული ბანკის პრეზიდენტის ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო შეადგენს 12 500 ლარს. ამასთან, **2013 წლის 1 ნოემბრის საქართველოს ყოფილი პრეზიდენტის მიხეილ სააკაშვილის ბრძანებით, ეროვნული ბანკის საბჭოს წევრებს დამატებით დაენიშნათ ყოველთვიური თანამდებობრივი სარგო 6 500 ლარის ოდენობით. შესაბამისად, შეგვიძია ვთქვათ, რომ საქართველოს ეროვნული ბანკი არის ერთადერთი დაწესებულება, სადაც ხელმძღვანელ პირებზე დაწესებულია ორი თანამდებობრივი**

სარგო, კერძოდ სარგო ბანკის პრეზიდენტობის / ვიცე-პერიდენტობის, აგრეთვე სარგო ამავე ბანკის საბჭოს წევრობისთვის.

საქართველოს პრეზიდენტის

ბრძანებულება №872

2013 წლის 1 ნოემბერი

ქ. თბილისი

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა დამატებითი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ

„საქართველოს ეროვნული ბანკის შესახებ" საქართველოს ორგანული კანონის მე-10 მუხლის შესაბამისად:

1. საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრის დამატებითი სარგოს ოდენობა განისაზღვროს 6500 ლარით.
2. ამ ბრძანებულების პირველი პუნქტით გათვალისწინებული სარგოს ანაზღაურება განხორციელდეს საქართველოს ეროვნული ბანკის ბიუჯეტიდან.
3. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა დამატებითი სარგოების ოდენობის განსაზღვრის შესახებ" საქართველოს პრეზიდენტის 2008 წლის 29 მაისის N280 ბრძანებულება.
4. ეს ბრძანებულება ამოქმედდეს 2013 წლის 1 დეკემბრიდან.

საქართველოს პრეზიდენტი **მიხეილ სააკაშვილი**

ეროვნული ბანკის პრეზიდენტზე მაღალი შრომის ანაზღაურება 2014 წელს მიღებული აქვთ ეროვნული ბანკის ვიცე-პრეზიდენტებს. არჩილ მესტვირიშვილის შრომის ანაზღაურებამ 2014 წელს შეადგინა 234 000 ლარი, ხოლო ოთარ ნადარაიასი - 229 560 ლარი. აღნიშნული განპირობებულია იმ ფაქტით, რომ ვიცე-პრეზიდენტის თანამდებობრივ და საბჭოს წევრობისათვის გათვალისწინებულ სარგოებთან ერთად მათზე 2014 წელს გაცემულია 35 000 და 30 000 ლარის ოდენობის პრემია.

ეროვნული ბანკის თანამდებობი პირების შრომის ანაზღაურება						
თანამდებობა	სახელი გვარი	თანამდებობრივი სარგო	საბჭოს წევრის სარგო	პრემია	სულ	ხელზე მიღებული
პრეზიდენტი	გიორგი ქადაგიძე	150000	78000	0	228000	182400
ვიცე-პრეზიდენტი	არჩილ მესტვირიშვილი	121000	78000	35000	234000	187200
ვიცე-პრეზიდენტი	ოთარ ნადარაია	121560	78000	30000	229560	183648

ამავე დროს, საქართველოს ეროვნული ბანკის თანამშრომლებზე 2014 წელს ჯამში გაცემულია 2 713 333 ლარის პრემია. განსაკუთრებით აღსანიშნავია 2014 წლის დეკემბერი, როდესაც პრემიის სახით ბანკის თანამშრომლებზე გაიცა 828 500 ლარი.

ეროვნული ბანკი თანამშრომლებზე გაცემული პრემიები

იანვარი	თებერვალი	მარტი	აპრილი	მაისი	ივნისი	ივლისი	აგვისტო	სექტემბერი	ოქტომბერი	ნოემბერი	დეკემბერი
134,560	4,275	135,030	773,645	99,325	-	213,095	395,078	41,325	-	88,500	828,500

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატი

2014 წელს საქართველოს სახალხო დამცველის უჩა ნანუაშვილის შრომის ანაზღაურებამ შეადგინა 89 670 ლარი. აღნიშნული თანხიდან მას სახელფასო დანამატის სახით მიღებული აქვს 18 925 ლარი, მათ შორის დეკემბრის თვეში 7000 ლარის დანამატი. საქართველოს სახალხო დამცველზე სახელფასო დანამატი საკუთარი ბრძანების საფუძველზე გაიცემა. 2014 წელს სახალხო დამცველს პრემია არ მიუღია.

დანამატები	
იანვარი	
თებერვალი	
მარტი	2,825.00
აპრილი	250.00
მაისი	2,825.00
ივნისი	
ივლისი	375.00
აგვისტო	
სექტემბერი	5,650.00
ოქტომბერი	
ნოემბერი	
დეკემბერი	7,000.00
ჯამი	18,925.00



საქართველოს სახალხო დამცველი

ბრძანება N 155

16 სექტემბერი, 2014 წელი

ქ. თბილისი

საქართველოს სახალხო დამცველის აპარატის თანამშრომლებზე დანამატის გაცემის შესახებ

„საჯარო სამსახურის შესახებ" საქართველოს კანონის 37-ე მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, მოსამსახურის შრომითი გასამრჯელო (ხელფასი) მოიცავს თანამდებობრივ სარგოს, პრემიას და კანონით გათვალისწინებულ დანამატებს. დანამატების გაცემა უნდა განხორციელდეს მხარჯავი დაწესებულებებისათვის ბიუჯეტის კანონით დამტკიცებული ასიგნებების ფარგლებში.

ყოველივე ზემოაღიშნულიდან გამომდინარე, ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. 2014 წლის სექტემბრის თვეში ქვემოთ ჩამოთვლილ თანამშრომლებზე გაიცეს დანამატი თანამდებობრივი სარგოს შესაბამისი პროცენტული ოდენობით:

სახელი, გვარი	თანამდებობა	დანამატის ოდენობა
1. უჩა ნანუაშვილი	სახალხო დამცველი	100 %

სახელმწიფო აუდიტის სამსახური

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, საქართველოს სახელმწიფო აუდიტის სამსახური აქტიურად უწევს მონიტორინგს საქართველოს საჯარო სექტორში არსებულ შრომის ანაზღაურების პოლიტიკას. 2014 წლის სახელმწიფო ბიუჯეტის შესრულების წლიური ანგარიშის შესახებ სახელმწიფო აუდიტის მოხსენებაში დეტალურადაა წარმოდგენილი საქართველოს საჯარო სექტორში შრომის ანაზღაურების სისტემასთან დაკავშირებით არსებული პრობლემები. აუდიტის სამსახურის მიერ განსაკუთრებული ყურადღება გამახვილებულია კონკრეტულ უწყებებში გაცემული პრემიებისა თუ სახელფასო დანამატების მიზნობრიობაზე. აღნიშნულის გათვალისწინებით, მნიშვნელოვანია წარმოვადგინოთ, თუ როგორი იყო 2014 წელს სახელფასო პოლიტიკა თვითონ სახელმწიფო აუდიტის სამსახურში.

სახელმწიფო აუდიტის სამსახურიდან მიღებული დოკუმენტაციიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ, რომ **ეს უწყება საქართველოს საჯარო სექტორში წარმოადგენს ერთ-ერთ იშვიათ გამონაკლისს, სადაც როგორც პრემიები ისე სახელფასო დანამატების გაცემის ყოველთვიური პრაქტიკა გაუქმებულია.** როგორც ირკვევა, 2014 წელს აღნიშნული უწყების თანამდებობის პირებზე სახელფასო დანამატი საერთოდ არ გაცემულა, ხოლო პრემია უმრავლეს შემთხვევაში გაიცა მხოლოდ ერთჯერადად დეკემბრის თვეში თანამდებობრივი სარგოს ოდენობით. **აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ სამსახურის ხელმძღვანელს ლაშა თორდიას 2014 წელს არც პრემია და არც სახელფასო დანამატი არ მიუღია.**

2014 წელს თანამდებობის პირებზე (ცალ-ცალკე სახელისა და გვარის მითითებით) დარიცხული პრემიების ოდენობა თვეების მიხედვით:

N	სახელი, გვარი	იანვარი		თებერვალი		მარტი		აპრილი		მაისი		ივნისი		ივლისი		აგვისტო		სექტემბერი		ოქტომბერი		ნოემბერი		დეკემბერი		სულ:	
		დარიცხული	მიღებული	დარიცხული	მიღებული	დარიცხული	მიღებული	დარიცხული	მიღებული	დარიცხული	მიღებული	დარიცხული	მიღებული	დარიცხული	მიღებული	დარიცხული	მიღებული	დარიცხული	მიღებული	დარიცხული	მიღებული	დარიცხული	მიღებული	დარიცხული	მიღებული	**დარიცხული**	**მიღებული**
1	ლაშა თორდია	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	**0**	**0**
3	ვანო ზარდიაშვილი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	5600	4480	**5600**	**4480**
4	გიორგი ჯანჯღავა	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	5500	4400	**5500**	**4400**
5	დევი ვეფხვაძე	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	5500	4400	**5500**	**4400**
6	დავით მჭედლიშვილი	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	5500	4400	**5500**	**4400**
7	დავითი კაპანაძე	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	0	5400	4320	**5400**	**4320**

დასკვნა/რეკომენდაცია

კვლევაში წარმოდგენილმა საქართველოს სამინისტროების, მათი დაქვემდებარებული უწყებების და დამოუკიდებელი საჯარო დაწესებულებების სახელფასო პოლიტიკის შესახებ ანალიზმა, ნათლად აჩვენა რომ საქართველოს საჯარო დაწესებულებებში შრომის ანაზღაურების სისტემა კვლავაც საჭიროებს მნიშვნელოვან დარეგულირებას. მიუხედავად იმისა, რომ 2014 წლის 15 ივლისს საქართველოს მთავრობამ შეიმუშავა საჯარო დაწესებულებებში პრემიების გაცემის წესი, როგორც კვლევაში წარმოდგენილი IDFI-ის მიერ შესწავლილი პრაქტიკა, ისე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის შეფასებები, ცხადჰყოფს იმ ფაქტს, რომ მთავრობის აღნიშნული დადგენილება ვერ უზრუნველყოფს პრობლემის სრულად მოგვარებას. აღნიშნული დადგენილებით, რეგულაციები დაწესდა მხოლოდ საჯარო სამსახურში არსებულ პრემიებზე, რამაც განაპირობა მთელ რიგ დაწესებულებებში პრემიების სახელფასო დანამატით ჩანაცვლების ტენდენცია. შედეგად, მთავრობის რეგულაციების ფონზე, სხვადასხვა დაწესებულებების მაგალითზე, სახეზე გვაქვს შემდეგი პრაქტიკა:

- სახელფასო დანამატების დაწესების ხარჯზე მთელი რიგი თანამდებობის პირების საშუალო ყოველთვიური შრომის ანაზღაურება უცვლელი დარჩა ან გაიზარდა.
- ხშირია შემთხვევები, როდესაც კონკრეტული თანამდებობის პირის შრომის ანაზღაურება მნიშვნელოვნად აღემატება მისი ხელმძღვანელი თანამდებობის პირის შრომის ანაზღაურებას.
- სხვადასხვა უწყების ერთსა და იმავე პოზიციაზე დასაქმებული თანამდებობის პირის შრომის ანაზღაურება მნიშვნელოვნად განსხვავდება ერთმანეთისგან.

1. რეკომენდაცია :

ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ საკითხის დარეგულირების თვალსაზრისით მნიშვნელოვანია საკანონმდებლო დონეზე საჯარო მოხელეთა ანაზღაურების ყველა ასპექტის (სარგო, პრემია, დანამატი) დეტალური მოწესრიგება. მნიშვნელოვანია აღნიშნულ დეფინიციებს შორის განსხვავებების ფორმულირება და თითოეული მათგანის გაცემაზე უფლებამოსილი პირების, საფუძვლების, ოდენობის და პერიოდულობის განსაზღვრა.

ამავე დროს, IDFI - ის აზრით, მნიშვნელოვანია, რომ საჯარო სამსახურში თანამდებობრივი სარგოებისა და პრემიების თუ სახელფასო დანამატების სისტემის

ცვლილება არ იყოს ერთჯერადი ქმედება, არამედ განხორციელდეს საჯარო სამსახურის რეფორმის კონტექსტში. აღსანიშნავია ის ფაქტი, რომ 2014 წლის 1 ივლისს საზოგადოებას წარედგინა საჯარო სამსახურის ახალი რეფორმის კონცეფცია, რომლის შემუშავებაში IDFI აქტიურად მონაწილეობდა. ინსტიტუტი იმედს გამოთქვამს, რომ უახლოეს მომავალში აღნიშნული რეფორმის დაწყება ხელს შეუწყობს საქართველოში საჯარო სექტორში დასაქმებულ პირთა ანაზღაურების ეფექტური და კვალიფიციური სისტემის ჩამოყალიბებას.

2014 წლის 15 ივლისის საქართველოს მთავრობის დადგენილების მიხედვით, პრემიის გაცემის აუცილებელ პირობას მისი დასაბუთება და კონკრეტული საფუძვლების არსებობა წარმოადგენს. აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით არსებული სამართლებრივი აქტების შესწავლა აჩვენებს შემდეგს :

- პრემიებისა და სახელფასო დანამატების გაცემის საფუძვლებში ხშირ შემთხვევაში არ ხდება მითითება, თუ რა კონკრეტული გარემოებების გამო იქნა დაჯილდოებული კონკრეტული დასაქმებული.
- ასევე სახელმწიფო აუდიტის სამსახურის ანგარიშიდან ირკვევა, რომ მხარჯავი დაწესებულებების 81%-ს არ გააჩნია თანამშრომელთა მიერ შესრულებული სამუშაოს შეფასების სისტემა.

2. რეკომენდაცია:

ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ თანამშრომელთა სამართლიანი წახალისებისათვის მნიშნელოვანია შესრულებული სამუშაოს შეფასების და თანამშრომელთა სამუშაო დროის აღრიცხვის სისტემების დანერგვა.

მთავრობის დადგენილებით განისაზღვრა პრემიის მაქსიმალური ოდენობის ზედა ზღვარი და პერიოდულობა. თუმცა ფიქსირებული თანამდებობრივი სარგოების პირობებში, ფინანსური წლის დასაწყისში განსაზღვრული შრომის ანაზღაურების ფონდის ათვისებისათვის აუცილებელია პრემიისა თუ სახელფასო დანამატების დასაქმებულებზე ინტენსიური გადანაწილება. შესაბამისად, არსებული რეგულაციების ფონზე სახსრების ათვისებისათვის კონკრეტული უწყებებისათვის დღის წესრიგში დადგა პრემიის სახელფასო დანამატით ჩანაცვლება. დამატებითი ანაზღაურების ოდენობებთან და პერიოდთან დაკავშირებით პრაქტიკა აჩვენებს შემდეგს :

- შრომის ანაზღაურების ფონდი დაწესებულების მიერ ფორმირდება ფინანსური წლის დასაწყისში, შესაბამისად დამტკიცებული საშტატო განრიგის ფონზე წინასწარ განსაზღვრულია სოლიდური თანხები პრემიებისა თუ სახელფასო დანამატების გასაცემად;
- საკუთარი საქმიანობის შედეგად, მაღალი შემოსავლების მქონე დაწესებულებებს საშუალება ეძლევათ მეტი თანხების მობილიზება მოახდინონ შრომის ანაზღაურების ფონდში პრემიებისა თუ სახელფასო დანამატების გასაცემად;
- საპრემიო და სახელფასო დანამატებისათვის გათვალისწინებული თანხები არაპროპორციულად ნაწილდება თანამდებობის პირებსა და სხვა დასაქმებულებზე;
- ვხდებით შემთხვევებს, როდესაც კონკრეტულ თვეში გაცემული პრემიის თუ სახელფასო დანამატის ოდენობა თანამდებობრივ სარგოს ორჯერ ან მეტჯერ აღემატება;
- დადგენილება დაშვებას აკეთებს კვარტალში ერთხელ პრემიის გაცემის, თუმცა მთელ რიგ უწყებებში კვარტალურად გასაცემ პრემიას სავალდებულო სახე აქვს მიღებული.
- პრემიები გაიცემა უქმე დღეებთან (დღესასწაულებთან) დაკავშირებით.
- ვხდებით შემთხვევებს, როდესაც ხელმძღვანელი თანამდებობის პირის მოტივირებული შუამდგომლობით ხდება კონკრეტულ თანამდებობის პირებზე გამონაკლისების დაშვება ყოველთვიურად.
- ერთი ბრძანების საფუძველზე მთელი წლის განმავლობაში კონკრეტულ თანამდებობებზე უწესდებათ სახელფასო დანამატი.

3. რეკომენდაცია: ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ საჯარო დაწესებულებების შრომის ანაზღაურების ფონდში პრემიებისა თუ სახელფასო დანამატების წილი იმ ნიშნულამდე უნდა იქნას დაყვანილი, რომ შესაძლებელი იქნას აღნიშნული ფონდიდან მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევებში განხორციელდეს თანამშრომელთა წახალისება.

ინსტიტუტი მიიჩნევს, რომ თანამშრომელთა წახალისება პრემიის სახით უნდა განხორციელდეს განსაკუთრებული დამსახურებებისათვის და საპასუხისმგებლო ფუნქციის შესრულებისათვის - მიღებული შედეგების გათვალისწინებით. ამასთან ინსტიტუტს ყოვლად გაუმართლებლად მიაჩნია თანამშრომელთა წახალისება კვარტალის დასრულებასთან თუ რომელიმე კონკრეტულ დღესასწაულთან დაკავშირებით.

თანამშრომლებზე სახელფასო დანამატის გაცემა კონკრეტული მოხელის შემთხვევაში უნდა უკავშირდებოდეს ზეგანაკვეთური სამუშაოს შესრულებას, რომელიც გამოიანგარიშება თანამშრომელთა სამუშაო დროის აღრიცხვის სისტემების დანერგვით.

ამასთან, პრემიისა და სახელფასო დანამატის წილის შემცირებით წარმოქმნილი ეკონომიის ხარჯზე, სამართლიანობის პრინციპით, უნდა გაიზარდოს დასაქმებულ თანამშრომელთა თანამდებობრივი სარგოები, რაც ხელს შეუწყობს დასაქმების ბაზარზე არსებული კონკურენციის გათვალისწინებით საჯარო დაწესებულებებში კვალიფიციური კადრების შენარჩუნებას და მოზიდვას.